1988/2

ISSN 0821-1509

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოს ქალი

2
1988



დ. იაკობაშვილის ფოტო

იარეს, იარეს და აქ შეჩერდნენ—დიდი საბას მიწაზე. ეგონათ, ბარად ჩამოსულაო სვანეთი. მანამდე ბოლნისის რაიონის ვაკე ადგილები ისე მოათავეს, თვალი არსაით გაქცევიათ, და უცებ, ლურჯი მთები რომ ამოისვეტნენ — გაოცდნენ. თურმე სად უცხოვრია საბა ორბელიანს! წარმოუდგენელი ძალა ჰქონებია ტანძიას — საქართველოს ამ ნამცეცა მიწას — გიპყრობს, სულს გიმაღლებს, უყურებ და გრძნობ, როგორ ტყვევდები.

აქ გვინდა ფუძეები გავჭრათო, — თქვეს შარშანდელი დაქცეული სახლ-კარის პატრონმა სვანებმა. არც ზვავი მოგვწვდება და არც მთა მოგვენატრება, ბარშიც ვიქნებით და მთაზედაცო.

ასრულდა მათი ნება. ლამაზი სახლები ჩამორიგდა ორბელიანების ნამოსახლარზე. ბოლნისელები, თბილისის საბურთალოს რაიონის ენთუზიასტი კომკავშირელები დადგნენ ხარაჩოებზე და აკაკუნეს ჩაქუჩები, ატრიალეს შალაშინი.

სახლები თითქმის მზად არის... მხოლოდ ადამიანებს ელიან. ისინი საცაა მორეკავენ საქონელს, აბღავლებენ ეზო-კარმიდამოში და კარებს შეხსნიან. ასე წარმოიდგინა მათი მობრძანება ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმაც. და ისღა დაგვრჩენია, ტანძიელ სვანებს ლოცვა შევაგებოთ — იხარე, ჭერო!

„საქართველოს ქალი"
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

(«ЖЕНЩИНА ГРУЗИИ»)

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# საბჭოთა საქართველო 67 წლისაა

*სიახლე ფაბრიკაში*

# მეცნიერთა დახმარებით

18723

ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნისა და საჯაროობის პროცესი სახალხო მეურნეობისა თუ მეცნიერების ყველა სფეროში იკიდებს ფეხს და მნიშვნელოვნად აადვილებს თითოეული შრომითი კოლექტივის მეცნიერებასთან ურთიერთობას.

ამის ერთ-ერთი დამადასტურებელია შემოქმედებითი კავშირის დამყარება ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეცნიერებსა და სამტრედიის აბრეშუმის ძაფსახვევ-საგრეხი ფაბრიკის კოლექტივებს შორის.

სამტრედიის აბრეშუმის ძაფსახვევი-საგრეხი ფაბრიკა არა მარტო სამტრედიის რაიონში, არამედ რესპუბლიკაში უძველესი და დიდი შრომითი ტრადიციების საწარმოა, ხოლო თავისი სპეციფიკის საწარმოთა შორის ის ერთ-ერთი ფლაგმანი წარმოებაა კავშირის მასშტაბით. მარტო ის რად ღირს, რომ ქართული აბრეშუმის ესოდენ გახმაურებული აღიარება ამ საწარმოს დამსახურებაცაა. კერძოდ, აბრეშუმის მაღალხარისხოვანი პარკის შერჩევა და ამ პარკიდან ასეთივე მაღალი ხარისხის ძაფის ამოხვევა, მისი სწორი, მაღალხარისხოვანი დამუშავება იყო და არის სამტრედიელ ძაფსაღებელთა უპირველესი მოვალეობა, მათ კარგად ესმით, რომ ძაფის ხარისხზეა დამოკიდებული აბრეშუმის ქსოვილისა და მისგან შეკერილი ნაწარმის საბოლოო ხარისხი.



მოწინავე ამომხვეველი ზოლნაზი თსიძე

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. ბიბლ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასულ წლებში ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლებსა და ფაბრიკის კოლექტივებს შორის რამდენჯერმე დაიდო ხელშეკრულება. ამ ურთიერთობამ სულ რაღაც 2—3 წლის მანძილზე წარმოებას ბევრი სასურველი სიახლე შესძინა.

მოგეხსენებათ, აბრეშუმის პარკისაგან ძაფის ამოხვევის ტექნოლოგია მეტად მძიმეა. პარკის დალბობა ძაფის უკეთ ამოხვევისათვის ძალიან მაღალი ტემპერატურის წყალში ხდებოდა (93 გრადუსამდე).

ფაბრიკაში მომუშავეთა 98 პროცენტი ქალია. მათ უხდებოდათ დამბალი პარკის 65—70 გრადუსიან ცხელ წყალში მოხვეწა, ანუ ზედაპირული გასუფთავება, რათა პარკს დაეკარგა ზედმეტი წებოვნება და გაადვილებულიყო ძაფის ამოხვევა, შემცირებულიყო მისი წყვეტიანობა, ანუ გადიდებულიყო ძაფის გამოსავლიანობა. ამის შემდეგ პარკი ამოსახვევ აუზში გადადიოდა, სადაც წყლის ტემპერატურა 40—45 გრადუსი იყო. ამრიგად, ფაბრიკაში შრომის უაღრესად მძიმე ჰიგიენური და სანიტარული პირობები ჰქონდათ. რაც მთავარია, გადიდებული მჟავიანობის ცხელი წყალი, მარტო მომუშავეთა ხელებზე კი არა, საერთო ჯანმრთელობაზეც ცუდად მოქმედებდა, პროფესიულ დაავადებებს იწვევდა.

ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორმა გივი ჯოხარიძემ სამტრედიის ფაბრიკაში თავდაპირველად მეცნიერული ცდები ჩაატარა. მან დაკვირვება აწარმოა ბენტონიტის სუსპენზიის ცივ ხსნარში აბრეშუმის პარკის დალბობისა და ამავე პარკისაგან ძაფის ამოხვევის საჭირო პროცესზე და სასურველი შედეგი მიიღო.

ბენტონიტის სუსპენზია 1985 წელსვე გამოსცადეს ფაბრიკის ერთ-ერთ ძაფსახვევ საამქროში. სერიული წარმოებისათვისაც ის ისეთივე აღმოჩნდა როგორც საცდელი რაოდენობისათვის (ბენტონიტის სუსპენზია თიხა მიწისაგან მიიღება, რომელსაც დასავლეთ საქართველოში თავსაბან მიწას ეძახიან. მისი მთები დგას მახარაძის რაიონის მახლობლად, ასკანის ტერიტორიაზე).

ამავე საამქროში გაგრძელდა დანარჩენი ყველა საჭირო ტექნოლოგიური პროცესის დახვეწაც. ამ პროცესმა 1986 წელსვე იმდენად საფუძვლიანი და თვალსაჩინო შედეგი მისცა მეცნიერებსაც და წარმოებასაც, რომ შარშან ფაბრიკა ახალ ტექნოლოგიურ, ანუ როგორც აქ უკვე ეძახიან, ჯოხარიძისეულ ციკლზე მთლიანად გადაიყვანეს.



მოწმდება ძაფის ხარისხი

დღეს აბრეშუმის პარკის წინასწარი დალბობა ხდება ბენტონიტის სუსპენზიის ცივ ხსნარში, რომელიც თვალსაჩინოდ აუმჯობესებს ძაფის ამოხვევის უნარიანობას და, აქედან გამომდინარე, იძლევა ძაფის ბევრად მეტ გამოსავლიანობას. ამ წესით დამბალი პარკი, შემდეგ შეიორთქლება 93 გრადუსი ტემპერატურის წყლით სავსე სახარშავ ქვაბში, სადაც პარკის ხელით შეხება არ შეიძლება. ამის შემდეგ გაციებული პარკი ამოსახვევად გადაეცემა მუშას, რომელიც მუშაობს 35—40 გრადუსი ტემპერატურის წყალში და ახვევს ძაფს. ძაფის ამოხვევა-ამოხვეწის მთელი პროცესი მხოლოდ ამ ტემპერატურის წყალში ხორციელდება.

— 1987 წელი ფაბრიკისათვის ამ სიახლის დანერგვის წელი იყო — თქვეს ჩვენთან საუბარში ფაბრიკის მთავარმა ინჟინერმა დარეჟან ალავიძემ და პარტბიუროს მდივანმა დარეჯან ქავთარაძემ. ვისაც საკუთარი თვალით არ უნახავს, ადვილად ვერც წარმოიდგენს ჩვენი მუშა ქალების ადრინდელ მძიმე შრომითს პირობებს.

მართლაც, უპირველესად, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის დიდი სოციალური ეფექტი, რაც ამ სიახლემ მისცა ფაბრიკას. ამასთანავე ამ ეფექტმა თავისი სასიკეთო კვალი მუშა ქალების სულიერ განწყობილებასაც დაამჩნია. ავიღოთ თუნდაც, ამომხვევი საამქროს ცვლის ოსტატი ჟუჟუნა პატარაია, რომელსაც ხელში მზისფერი აბრეშუმის მოციმციმე, ახლად ამოხვეწილ-ამოხვეული ძაფების კონა უჭირავს. იგი დღეს სულ სხვა განწყობილებით შრომობს.

როგორც აღვნიშნეთ, შარშან ახალი ტექნოლოგიის საბოლოო ხორცშესხმა დაგვირგვინდა. თუ ამ მეთოდის გამოყენებით ჟუჟუნამ და მისმა თანამოსაქმეებმა ფაბრიკას 1985 წელს, დანერგვის დასაწყისში ძაფის გამოსავლიანობის ზრდის ხარჯზე 95 ათასი მანეთის ეკონომია მისცეს, 1986 წელს მათივე საამქროში სამუშაო პროცესების დახვეწა-სრულყოფით ეს ციფრი 150 ათას მანეთამდე გაიზარდა. 1987 წლის პირველ კვარტალში კი, როცა მთელი წარმოება ამ ახალ ტექნოლოგიაზე გადავიდა, ძაფის გამოსავლიანობის ეკონომიკურმა ეფექტმა, ნაცვლად გეგმიური 28 პროცენტისა, 29,8 პროცენტი შეადგინა, რაც 3,9 ტონა ნედლეულია.

ჩვენი რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო დაინტერესდა და ყურადღებით მოეკიდა ამ სიახლეს. ახალი მეთოდი რესპუბლიკის ყველა დანარჩენ ძაფსახვევ ფაბრიკაში ინერგება.

**ნაზი ჭედია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სადარდებელი ხუთი წლის წინ დაიწყო

თბილისის აბრეშუმის საფეიქრო-სამკერვალო საწარმოო გაერთიანების აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკას განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდება, იმიტომ, რომ იგი ქალაქის ცენტრში, ლენინის ქუჩაზე მდებარეობს, თანაც სწორედ აქ იქსოვება აბრეშუმი და შიფონი, ეს მოდური ქსოვილები, ხან მადლობას რომ გვათქმევინებს, ხან კი...

ამჯერად თქვენს ყურადღებას გეგმების შესრულება-შეუსრულებლობაზე არ შევაჩერებთ. შევეცდებით, საწარმოს ყოფითს პირობებზე შეგიქმნათ გარკვეული წარმოდგენა, რაც ისევ თავიდათავი გახდება ხოლმე, როცა საუბარი გეგმებზე მიდგება.

შენობა საუკუნის დასაწყისშია აშენებული და მუშაობა 1908 წლიდან დაუწყიათ. ეს ჯერ კიდევ იმდროინდელი ამბავია, როცა ლენინის ქუჩა ქალაქის გარეუბნად ითვლებოდა...

ობიექტურნი არ ვიქნებით, თუ არ ვიტყვით, რომ დღეისათვის შენობა მთლიანად ამორტიზებულია. რამდენი ხარისხიანი და უხარისხო რემონტი ჩატარდა აქ, თუმცა, საწარმოს ყველა უბანზე სისუფთავე და ყვავილნარია, სკვერებში მაგიდა და ძელსკამები დაუდგამთ... ამ თემაზე საუბარს ცოტა ქვემოთ გავაგრძელებთ; მოდით, ჯერ ახალგაზრდულ ბრიგადას ვესტუმროთ საქსოვ საამქროში. აქ შვიდი გოგონა მუშაობს, თითოეულს ოთხ-ოთხი დაზგა აქვს გაპიროვნებული, თვიური გეგმა 1200 — 1800 მეტრი ქსოვილის დამზადებაა.

ფატი გაჩეჩილაძე ოთხი წელია საწარმოში მუშაობს, ამავე დროს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტია. იგი თურმე მთელი საწარმოს ახალგაზრდა მქსოველებში ერთადერთი თბილისელია. ფატი პარტიის წევრი, მოწინავე მქსოველი და პატარა კონსტანტინეს დედიკოა.

— პრობლემა? — კითხვა დამიბრუნა ფატიმ, — უპირველესად ალბათ ის, რომ მეტწილად უხარისხო ძაფით გვიხდება ქსოვა; კარგი იქნებოდა მცირე სპორტული მოედანი გვქონოდა და კიდევ სასადილო, სადაც მისვლა შეგვეძლებოდა... — ჩემი შვილიკო გასულ ზაფხულს მანგლისში იყო. სანაქებო თუ არის რაიმე ჩვენს ფაბრიკაში, უპირველესად ბაღია, რომლის მუშაობითაც მართლაც რომ კმაყოფილები ვართ.

უფრო მართალნი რომ ვიყოთ, ფატის სპორტული მოედნის პრეტენზია კი არ ჰქონია, არამედ დანანებით გაიხსენა ის დრო, როცა საწარმოს, გარკვეულ დღეებში, გარკვეულ საათებში „ბურევესტნიკის" საწყალოსნო კომპლექსი ემსახურებოდა.

ახლა სასადილო ვნახოთ, სადაც ზოგიერთ თანამშრომელს არათუ არ უსადილია, არც კი შეუხედავს საერთოდ. სასადილო ოთხმოცადგილიანია. საწარმოს თითოეული უბნისათვის ოც-ოცი წუთია გამოყოფილი სადილისათვის. როგორ ფიქრობთ, ასწრებენ? სასადილოს გამგე მუშათა ასეთ პასიურობას იმით ხსნის, რომ დროის დაკარგვას ერიდებიან და ამჯობინებენ, „სახლიდან მოტანილი" მიირთვანო. ეს პრობლემის ერთი მხარეა მხოლოდ. ის ფაქტი, რომ მუშის სადილის საფასური მანეთსა და ოც კაპიკს არ უნდა აღემატებოდეს, იმას არ უნდა ნიშნავდეს, რომ მისი ხარისხი ამ საფასურზეც კი დაბალი იყოს. საწარმო ექვს დღეში ერთხელ ღამის ცვლაში მუშაობს, სასადილოც აღებს თავის კარებს ამ დროს, მაგრამ არავის არ იზიდავს ის შეღავათიც კი, რომ ღამის ცვლაში კვება უფასოა. შარშან სასადილო გაურემონტებიათ; ამაზე მეტი, აქ მაინც არ მოხერხდებაო, დაბეჯითებით გვითხრეს. არა, საგანგაშო მდგომარეობაც არ არის ნამდვილად. სისუფთავის დაცვის ნორმაზეც აუგს ვერ ვიტყვით.

სასადილოს კალინინის რაიონის საზკვებების ტრესტი ამარაგებს. სასადილოს გამგე სამდურავს არ ამბობს მათ მიმართ. მაშ, სადილის უხარისხობის მიზეზი, დავიჯეროთ, მხოლოდ მზარეულია?!

აი შეკვეთის მაგიდაც. შეკვეთების წიგნი რატომღაც დიდხანს ეძებეს, მერე ყველას „დაგვავიწყდა". დიეტური კუთხე, ყავის კუთხე, ჩაის კუთხე — ყველაფერს თავის ადგილი აქვს მიჩენილი თითქოს. რაც შეეხება მენიუს, ალბათ, ზუსტად შეეფერება მესამე კატეგორიის სასადილოს მოთხოვნებს.

ყოველ პარასკევს სასადილო ნახევარფაბრიკატების გამოფენა-გაყიდვას აწყობს ორიდან ოთხ საათამდე. აქვე იყიდება კალინინის რაიონის საზკვებების ტრესტის მიერ დამატებით გამოყოფილი იმპორტული პროდუქტებიც. ახე გვითხრეს, თორემ როგორც საწარმოს პროფკომიტეტის თავმჯდომარემ ციცინო ჩალაძემ აღნიშნა, უახლოეს პარტბიუროზე სპეციალურ საკითხად უნდა გავიდეს საწარმოს დამატებითი პროდუქტებით მომარაგებისა და მის ტერიტორიაზე ნახევარფაბრიკატების მაღაზიის გახსნის საკითხი. სწორია ის მუშაქალი, რომელიც დაღლილობას უჩივის და უჭირს მაღაზიებში რიგში დგომა, ბაზრიდან დატვირთული ჩანთით სიარული...

საწარმოს ბაგა-ბაღის მუშაობას ალბათ ყველაზე უკეთ ის დედები შეაფასებენ, რომელთა შვილებიც აქ ატარებენ დღის უმეტეს ნაწილს. 150-მდე აღსაზრდელს ემსახურება ბაგა-ბაღი. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ბაგა საწარმოს ტერიტორიაზე მდებარეობს.

საწარმოში 897 ქალი მუშაობს. წარმოიდგინეთ, რამდენი განსხვავებული გემოვნება და ხასიათია. სპეცტანსაცმლის ჩაცმასა და თავსაფრის გაკეთებას ვინ აიძულებთ, მაგრამ ეს ხომ კაპრიზი არაა! ძნელია, მოდურ ქსოვილს ქსოვდე და თავად კი უგემოვნო, გაურკვეველი სიგრძე-სიგანის სპეცტანსაცმელს ატარებდე. ალბათ უკვე მართლაც საჭიროა სპეციალიზებული ატელიეების შექმნა თბილისში, რომლებიც სწორედ საწარმოებისათვის შეკერავენ ე. წ. სამუშაო ფორმებს. თქვენ წარმოიდგინეთ, ზოგჯერ ეს წვრილმანიც კი განსაზღვრავს გეგმის შესრულებას!

პატარა დეტალები იქით იყოს და ტრანსპორტის პრობლემა მარტო საწარმოში კი არა, ქალაქის მასშტაბითაც არის ამჯერად მოსაგვარებელი. ამ მხრივ დიდ გასაჭირში არიან ღამის ცვლაში მომუშავენი. არადა, საწარმოს მიერ გამოყოფილი ორი ავტობუსი მხოლოდ საბურთალოსა და გლდანის მიმართულებით მოძრაობს. მაგრამ თუ იქით გზა არა გვაქვს?!

ფაბრიკაში, სამწუხაროდ, არა აქვთ განტვირთვის ოთახი, რაც ხმაურიან საწარმოებში ახე აუცილებელია. ფაბრიკის ადმინისტრაციასთან ერთად ამ საკითხით ალბათ უნდა დაინტერესდეს მე-9 პოლიკლინიკაც, გარკვეული პერიოდულობით პროფილაქტიკურ შემოწმებებს რომ ატარებს საწარმოში. თუმცა, შემოდავებაც შეუძლიათ, ოთახი რა საჭიროა, როცა ფაბრიკის ტერიტორიაზე დიდებული ბაღი გვაქვსო.

საწარმოს აქვს 220 ადგილიანი კლუბი, მოქმედებს კლუბთან არსებული გიტარის დაკვრისა და მხატვრული კითხვის წრეები. კულტურული ცხოვრების მრავალფეროვნებით კი ვერ დაიკვეხნის საწარმო. აი, აბრეშუმის საფეიქრო საშკერვალო საწარმოო გაერთიანებაში ნახეთ, ყველაფერი

გვაქვსო, — გეტყვიან. ეს თუ ძველ ფაბრიკაში საქმეს გამოასწორებს, მაშინ რაღა გვეთქმის.

ნამდვილად არ ვაპირებდით ამჯერად გეგმების შესრულება-შეუსრულებლობაზე საუბარს, მაგრამ მაინც მოგვიწევს, იმ „უბრალო“ მიზეზის გამო, რომ ფაბრიკის კეთილდღეობას უთუოდ განსაზღვრავს გეგმის შესრულება, მოგების მიღება, მადლობის სიტყვები... საწარმო კი ბოლო ორი წელია, გეგმის შეუსრულებლობის გამო, ფინანსურ სიძნელეებს განიცდის, გასული წლის გეგმაც მხოლოდ ფულადი გამოხატულებით შესრულდა.

ამიტომაც დავინტერესდით, თუ რა ცვლილებები მზადდება საწარმოში მდგომარეობის გამოსასწორებლად, რაზეც ფაბრიკის დირექტორმა ზაურ ქიტიაშვილმა გვიპასუხა: ორგანიზაციისა და მართვის ახალ რელსებზე დადგომა რთული პროცესია. ფაბრიკაში ამ მხრივ უკვე გადაიდგა პირველი ნაბიჯები. ჩატარდა ატესტაცია სამუშაო ადგილებზე, რის შედეგადაც 35 კაცი გათავისუფლდა სამსახურიდან. ეს ფაბრიკას საშუალებას მისცემს დაზოგოს ხელფასის ფონდი და იგი გადაანაწილოს იმ პერსონალზე, რომელიც აქტიურად შრომობს. ფაბრიკაში მიმდინარეობს მუშაობა საკვალიფიკაციო თანრიგის ასამაღლებლად. ფაბრიკის ხელმძღვანელობამ სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაიყვანა სამ ცვლაში მომუშავე მოსამზადებელი და საქსოვი საამქროები, აგრეთვე საგრეხი უბანი. გარდა ამისა, უკვე დამონტაჟდა 20 ახალი დაზგა, რაც შრომის ნაყოფიერების ზრდასა და დასამზადებელი პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას უზრუნველყოფს (სხვათაშორის, ქართული შიფონი დღესაც გასული საუკუნის მანქანებზე იქსოვება). გაიშალა მუშაობა პროდუქციის სახელმწიფო მიღების დასანერგავად.

აი, ასეთია ფაბრიკის სამომავლო გეგმები.

პერსპექტივაში არსებული აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ახალი საქსოვი წარმოების პროექტის გამო, რომელიც ალბათ 5—6 წლის შემდეგ განხორციელდება, აბრეშუმის საფეიქრო-სამკერვალო საწარმოო გაერთიანების დღევანდელი ხელმძღვანელობა ძველ ფაბრიკაში კაპიტალურ რემონტს ე. წ. ზედმეტ ხარჯებს ერიდება. მაგრამ რა პასუხი გავცეთ ერთი გოგონას სიტყვებს: ჭერიდან წყალი ჩამოდის, დაზგა კვირაზე მეტია გაჩერებულიაო. ჭერის დაზიანების მიზეზი ნაპოვნია — მუდმივი ვიბრაცია შენობისა და მოძველებული საკანალიზაციო მილები, მაგრამ საქმეს ამით ნაკლებად ეშველება.

ისიც ხომ ცხადია, 5—6 წელი ცოტა როდია. ამიტომ მანამდე უნდა ვიღონოთ რამე!

ლეილა ამისულაშვილი,
თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მეხუთე კურსის სტუდენტი.



ფოტო გაჩეჩილაძე და მედეა ლაგაძე



# კეთილი სახლი

## მამასავით ძვირფასი

გზატკეცილზე მანქანა მიქრის. მისი სალონი სავსეა საჩუქრებით. რას არ ნახავთ აქ — ნუგბარს, ტანსაცმელს, სათამაშოებს. საჭესთან მჯდომ ახალგაზრდა კაცს სახეზე ერთგვარი მოუთმენლობა აწერია, უნდა მალე მივიდეს იქ, სადაც მისი ბავშვები ისვენებენ.

ალბათ იფიქრებთ, ეს კაცი მზრუნველი მამაა და საყვარელ შვილებთან მიიჩქარისო. დიახ, ბავშვებთან მიიჩქარის ეწრის ბავშვთა სახლის დირექტორი კარლო გოთოშია.

ახლახან კოპწიააივნებიანი ახალი, ნათელი კორპუსი მიიღეს სამტრედიის რაიონის ეწრის ბავშვთა სახლის აღსაზრდელებმა. იგი სახაგრომშენის № 2 ტრესტის 25-ე მოძრავმა მექანიზებულმა კოლონამ ააშენა გიორგი რევიშვილის ხელმძღვანელობით. გულდაგულ იმუშავეს და მართლაც სანაქებო, გულგასახარი ნაგებობა გამოვიდა. დირექტორსაც დიდი ჯაფა დაადგა მის დამთავრებამდე. ხან ადგილის შეცვლის აუცილებლობას ამტკიცებდა, ხან სახურავის შეცვლაზე კამათობდა და მიღებაზე ხელს არ აწერდა, თუ რომელიმე უხარისხო დეტალს არ შეცვლიდნენ. მისმა „ჭირვეულობამ“ და მშენებელთა კეთილსინდისიერებამ დიდი სიხარული მოუტანა პატარა მობინადრეებს; ხალისით ეხმარებოდნენ უფროსებს, ასუფთავებდნენ ოთახებს, წინასწარ არჩევდნენ ადგილებს საწოლების დასაწყობად, გულმოდგინედ კერავდნენ ფარდებს. შეფებიც მათ გვერდით ტრიალებდნენ (რკინიგზის სალოკომოტივო დეპოს, სამოქალაქო ნაგებობათა დისტანციის, ეწრის მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობის, სახაგრომშენის № 2 სამშენებლო-სარემონტო სამმართველოს, რაიკოოპკავშირის და № 4 სპეცმექანიზებული კოლონის კოლექტივები).

ეწრის ბავშვთა სახლში ოთხმოცი ბავშვი ცხოვრობს. ისინი რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებიდან არიან და სხვადასხვა ეროვნებისანიც, მაგრამ ერთნაირი მზრუნველობით უვლიან თავიანთ დიდ, კეთილ სახლს, მუშაობენ საბავშვო სახლის დამხმარე მეურნეობაში, სანიმუშოდ შრომობენ საკარმიდამო ნაკვეთში, მოჰყავთ ბოსტნეული, სიმინდი. დაუზარებლად ტრიალებენ ე. წ. „მინი — ფერმაშიც“; ხელმარჯვე ბავშვები სამკერვალო სახელოსნოშიც უსხედან ხელსაქმეს და ასე ეუფლებიან შრომის აუცილებელ ჩვევებს.

სადაც არის გამოჩნდება დასასვენებელი სახლი. დირექტორის მახვილ ყურს ბავშვების ხმები შორიდანვე მოესმის — ეწრის ბავშვთა სახლის ხალხურ საკრავთა ორკესტრი მეცადინეობს. როცა წკრიალა, სიხარულით სავსე ხმით მღერიან ნორჩები, ცაც მაღლა იწევს თითქოს. ახლახან ახალი ინსტრუმენტების შესაძენი თანხა გამოუყვეს ბავშვებს. მათი სიმღერა მაშინ ნახონ — უხარია დირექტორს.

მანქანის ხმა არ გამოპარვიათ აღსაზრდელებს. ყველაზე მოუსვენრები უკვე გზაზე არიან, უნდათ პირველნი შეეგებონ — დირექტორი მოდის! კარლო მასწავლებელი მოდის! ღიმჩამდგარი თვალებით მორბიან, უკან აღმზრდელები გამოდევნებიან, და აი, კარლო გოთოშია უკვე ბავშვების „ტყვეობაშია“, საჩუქრების განაწილებას და მოკითხვას ვერ ასწრებს. პატარები მოუთმენლად შესციცინებენ, მოზრდილები უხმოდ ელიან თავიანთ რიგს, ირგვლივ სიცილ-ხარხარია. უკვე დაითითოვეს ბურთები, კამფეტები, ტუჩების მოთხუპვნაც მოუსწრიათ, თან მოფერებას, ალერსს ითხოვენ, ეხუტებიან მადლიერებისაგან გადიდებული თვალებით, დგას დირექტორი და გული ეწურება ტკივილისაგან.

— ასე ყიჟინითა და სიხარულის ჟივილ-ხივილით ხომ გულწრფელ სიყვარულს გამოხატავს ბავშვი — მამიკო მოდის, კამფეტები მოაქვს ჩემთვისო.



დ. იაკობაშვილის ფოტოები





## ნინო, ლია, მზია და სხვები

ნინო ქაშიკაშვილი, ლია კუზნეცოვა და მზია თეთრუაშვილი მეთერთმეტე კლასში სწავლობენ. ნინო თერჯოლიდანაა, მისი და-ძმაც ამ სახლში გაიზარდა, ამიტომ როცა მასწავლებლებზე ლაპარაკობს, გული და თვალები უჩვეულო სითბოთი ევსება. ლია კუზნეცოვა უკვე რვა წელია ამ სახლის ბინადარია, იგი ფიზიკით არის გატაცებული, ამიტომ კარლო გოთოშია ყოველთვის პოულობს დროს, რათა დამატებით ამეცადინოს გოგონა.

მზია თეთრუაშვილი საქართველოს კომკავშირის XXXIII ყრილობაზე ერთადერთი იყო ბავშვთა სახლის აღსაზრდელთაგან, როცა მისი გვარი დაასახელეს, სიხარულისაგან კინაღამ შევხტიო — მიყვება პიონერხელმძღვანელი ციცინო ვერულეიშვილი. მზიას დიდი გაცილება მოუწყეს, უამრავი ყვავილი მოუტანეს, მთელი ღამე არ დაეძინა გოგონას, იწვა მატარებლის კუპეში და სიხარულისაგან ტიროდა.

ბევრს, ბევრს ყვებიან გოგონები მშობლიურ ბავშვთა სახლზე, საინტერესო ღონისძიებებზე, საპირველსექტემბრო თუ საახალწლო ზეიმებზე, ისიც მოიგონეს, თუ როგორ შეავსეს ანკეტა: „მე რომ დირექტორი ვიყო", „ჩემი საყვარელი მასწავლებელი", „ჩემი საყვარელი კერძი", რაც შემდგომში ძალზე დაეხმარა ბავშვთა სახლის კოლექტივს მუშაობის გაუმჯობესებაში. ყველა მასწავლებელი და აღმზრდელი უყვართ და ემშობლიურებათ ბავშვებს, მაგრამ ბევრმა მაინც მანანა გაბედავა დაასახელა საყვარელ პედაგოგთა შორის. ეს იმის „ბრალიც" არის, რომ მანანა ახალგაზრდაა და თანატოლივით ემეგობრება მათ, საიდუმლოებებსაც კი „უნახავს". ჭირვარამსა და სიხარულს უზიარებენ მას უფროსკლასელები. ჰოდა, ეს არის სიყვარული, უფრო სწორად კი, სიყვარული სიყვარულის წილ...

## დოდო მასწავლებელი

ეწრის საშუალო სკოლაში ყველას უყვარს დოდო მასწავლებელი, განსაკუთრებით კი ბავშვთასახლელებს. იგი ყველა ბავშვის გულშემატკივარი და მოამაგეა. თუ ავად გახდება რომელიმე აღსაზრდელი, რა გული მოუთმენს, რომ არ ინახულოს და წამლებითაც არ მოამარაგოს. ხშირად შესვენებაზე რამდენიმეს თავის შვილებივით ჩაჭკიდებს ხოლმე ხელს და სკოლის ბუფეტში მიჰყავს დასანაყრებლად, ზოგჯერ შინიდან ტანსაცმელიც კი მოაქვს და ბავშვივით ხარობს, როცა მოერგებათ და მოუხდებათ იგი მის „შვილობილებს". ამიტომაც არავის უკვირს, თუ რომელიმე მოსწავლე დერეფანში დაეწევა მას და საიდუმლოდ ჩასჩურჩულებს: — დოდო მასწავლებელო, შეიძლება გაკოცოთ? არ ვიცი, პედაგოგიური არის თუ არა მასწავლებლის კოცნა, მაგრამ ერთი კი ცხადია, იგი უმოკლესი გზაა გულისაკენ... ჰოდა, ამაზე უარის თქმა როგორ შეიძლება, „როცა ასეთი სიყვარულია".

## დედა, ნუ დამტოვებ!

ჩემს წინ თავჩაღუნული ზის ცისფერთვალება, ლამაზი გოგონა. იგი სევდიანია, ზოგჯერ უნდო, ეჭვიანი მზერით შემომყურებს. ალბათ უკვე ხვდება, რომ მე ყველაფერი მიამბეს მასზე. მითხრეს, თუ როგორ მიატოვა დედამ, რადგან მან სხვა ოჯახი შექმნა, პატიმარ მეუღლეს არ დაელოდა და შვილი ბავშვთა სახლისთვის გაიმეტა. — დედა არ გინახავს? — ვეკითხები და ვიცი, რომ მისი გულის ყველაზე მგრძნობიარე, ტკივილისაგან ათრთოლებულ სიმს ვეხები. მაინც მპასუხობს ჩუმად, სიმწრისაგან ტუჩებდაკვნეტილი — გარდაიცვალა...

ყურს არ ვუჯერი. ყველანაირ პასუხს ველოდი ამის გარდა. ეს ხომ სასჯელია, სასიკვდილოდ გასწირა, არ გაამხილა მისი არსებობა. მკაცრი, მაგრამ სამართლიანი განაჩენი გამოუტანა, რადგან იგი კარგა ხანია არ არსებობს შვილისთვის. გოგონას კი ენანება ის ძველი ოცნებები, მოლოდინი და სიყვარული, რომელიც არ დაუმსახურებია ქალს.

## მოფრინდი ჩემთან, კარლსონ!

ეწრის ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს ყურადღება არ აკლიათ რაიონის ხელმძღვანელობისაგან, მაგრამ ბევრი, ბევრი სურვილი მაინც გამოთქვეს. ისინი ნატრობენ სტუმრად მობრძანდნენ მათთან მწერლები, მსახიობები, მხატვრები, მათთვისაც მოიცალონ მხატვრებმა და მათი ახალი სახლის კედლები დაამშვენონ ნახატებით: კარლსონი და ბიჭუნა, ფიფქია და ჯუჯა, ბემბი და ბაჭია, მხიარული მიკი მაუსი და საყვარელი ვინიპუხი.

თუ არ გამოგვეხმაურებიან, მე გავხდები მხატვარი სკოლის დამთავრების შემდეგ და ამ კედლებს მე მოვხატავო — მითხრა დამშვიდობებისას მზია თეთრუაშვილმა. დახატავს, ბევრ რამეს დახატავს მზია, მათ შორის თავის დიდ, ლამაზ, კეთილ სახლს, რომლის ფანჯრიდანაც დიდი სევდიანი თვალებით იმზირებიან. იმ სურათს ალბათ „მოლოდინი" ერქმევა.

ირინე კუკავა

მარიკა ბარათაშვილი

# სიხარულის ცრემლი

შეისვენა ერთი წამით, მხოლოდ ერთი წამით,
სიყვარულით დააცქერდა სახეს უძვირფასესს,
შემდეგ ისევ მოიკრიბა უჩვეულო ძალი
და ნაბიჯი ააჩქარა, მღელვარებით სავსემ.

ბინდდებოდა. ძირს, დაბლობში მუქდებოდა მწუხრი,
იდგა კვნესა, ძახილი და ბრძოლა დაუნდობი...
ქალი ფორთხვით შორდებოდა ქვემეხების ქუხილს,
გადარჩენას ჰპირდებოდა მძიმედ დაჭრილ ძმობილს.

და როდესაც მძიმე ქშენით მიაღწია ფერდობს,
როცა დაჭრილს მოუნახა მყუდრო სარეცელი,
როცა ქალმა დაინახა, რა გმირობა ერგო,
წამწამები დაინამა სიხარულის ცრემლით.

16 000 ქალიშვილი წარგზავნა დედა-საქართველომ დიდი სამამულო ომის ფრონტებზე. ბევრი მათგანი სამუდამოდ დარჩა ომის ცეცხლოვან გზებზე გათხრილ საფლავებში. ნაწილი — დიდებით მოსილი დაუბრუნდა ოჯახს, საქმეს და აქაც შრომით ისახელა თავი.

არანაკლები გმირობა ხვდათ წილად შინ დარჩენილებსაც... საქართველოს ქალთა გმირობის ამბებს თაობიდან-თაობას გადასცემს დიდი სამამულო ომისა და შემდგომი ცხოვრების გმირული აღმშენებლობის მატიანე.

# მოწყალების და


ნინო ავსაჯანიშვილი (ცენტრში)
მეგობრებთან და თანამებრძოლებთან ერთად

ნინო ავსაჯანიშვილს გამარჯვების დღეს – 9 მაისს შევხვდი, როცა დიდი სამამულო ომის ვეტერანებს ფოტოსურათებს უღებდნენ, მედიცინის სამსახურის ლეიტენანტის სამხედრო ფორმა ეცვა. მკერდს საბრძოლო ორდენები და მედლები უმშვენებდა. გატაცებით ესაუბრებოდა პიონერებსა და სამამულო ომის ვეტერანებს.

თბილისის ლენინის რაიონის პროფტექნიკური სასწავლებლების შრომითი რეზერვების რესპუბლიკურ სპორტკომპლექსში ნინო ფიზიო-თერაპიული კაბინეტის გამგედ მუშაობს. და აი, ვზივარ მის წინ და ვისმენ მისი ცხოვრების ეპიზოდებს.

ყაზბეგის რაიონის სოფელ გორისციხეში იზრდებოდა. მამა ადრე გარდაეცვალა. დედამ შვიდი შვილი გაზარდა. ოცნებობდა ექიმობაზე და აუსრულდა ნატვრა. სოფლის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ძმამ თბილისში ჩამოიყვანა. მიიღეს სამედიცინო სასწავლებელში, რომელიც დიდ სამამულო ომამდე დაამთავრა. სურვილი ჰქონდა ფიზიო-თერაპიულ საავადმყოფოში ემუშავა. საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა მ. ზანდუკელმა თავისი წვლილი შეიტანა ნინოს ცხოვრებაში. გოგონამ მაშინვე იგრძნო დიდი დასტაქრის გულმხურვალება. გოგონა მაშინ 18 წლისა იყო. მედდა სამედიცინო ინსტიტუტში გამოცდების ჩასაბარებლად ემზადებოდა.

დაიწყო დიდი სამამულო ომი. საავადმყოფო სამხედრო ჰოსპიტლად გადაკეთდა. ომის მძიმე დღეებში ეშელონებით მოჰყავდათ დაჭრილი მეომრები.

1942 წლის 3 აპრილს ნინომ შეიტყო, რომ ჰოსპიტალი თბილისიდან წინა ხაზზე უნდა გადაეყვანათ. მან სთხოვა უფროსს, ფრონტზე გამგზავნეთო. უფროსსაც არ გაჰკვირვებია ნინოს სურვილი, პირიქით, გაამხნევა და უთხრა: შენ ისე იქცევი, როგორც შეეფერება ნამდვილ კომკავშირელსო. მეორე დღეს ნინო ჰოსპიტალს მძიმე გზით მიჰყვებოდა. მატარებელი ფრონტის ხაზს უახლოვდებოდა. ნინო სხვა ჯარისკაცებთან ერთად გაგზავნეს ლენინის ქალაქის დასაცავად, მედიცინის დად ჩარიცხეს მძიმე არტილერიის საზენიტო დივიზიაში. მათი საცეცხლე პოზიცია სატანკო ქარხნის ტერიტორიაზე იყო განლაგებული. ლენინგრადში მკაცრი ზამთარი იდგა. ბლოკადაში მყოფნი შიმშილით ცალკე იხოცებოდნენ და ტყვიით ცალკე. ნინო დაჭრილებს პირველ სამედიცინო დახმარებას უწევდა.

ერთხელ, ღამით, დაცვის წინა ხაზიდან ტელეფონით შეატყობინეს: „ფაშისტებმა აღმოგვაჩინეს, უთანასწოროდ ვიბრძვით. მძიმედ დაიჭრა კაპიტანი ზაბუგა..." ნინო მაშინვე გაიქცა წინა ხაზზე. დაჭრილებს აღმოუჩინა პირველი დახმარება. კაპიტანი ზაბუგა კი მედპუნქტში მიიყვანა. ქირურგი გაკვირვებული იყო, თუ როგორ შეძლო ეზიდა ვეება კაცი ასეთ ნაზ გოგონას. „მე ძალა ჩემმა ყაზბეგმა, ჩემმა მთებმა და ჩვენი გამარჯვების რწმენამ მომცა". — თქვა ნინომ. კაპიტან ზაბუგას გადარჩენისათვის მან მთავარსარდლის მადლობა და მედალი დაიმსახურა. არ გამართლდა ფაშისტების იმედი, ვერ აიღეს ლენინგრადი და ცხრაასდღიანი ბლოკადის შემდეგ საბჭოთა ხალხმა ლენინის ქალაქის გათავისუფლება იზეიმა.

1943 წელს ნინო კომუნისტური პარტიის რიგებში მიიღეს. ამ დროს ბელორუსიის ფრონტზე გამძაფრებული ბრძოლები მიმდინარეობდა. მტერი წვავდა და ანგრევდა ქალაქებსა და სოფლებს. ბრძოლის ერთ-ერთ უბანზე, სოფელ ხემიონოვკასთან, ვიტებსკის მიმართულებით ნინოს შემოესმა ხმა: „დედა, ვაი დედა!" ცხადია, სადღაც ახლოს ქართველი კვნესოდა და დედას საშველად იხმობდა. ხოხვით მივიდა დაჭრილთან, მძიმე იარები დაუმუშავა, შეუხვია და უთხრა: — ნუ გეშინია, ძმაო, მოითმინე, მალე გაგივლის. მე ნინო მქვია, ყაზბეგელი ვარ. — მე კი გიორგი, — უპასუხა დაჭრილმა. ერთ-ერთი ბრძოლის დროს ნინო თავის ძმას — პავლეს შეხვდა, და უკანასკნელად ნახეს ერთმანეთი.

გამარჯვების დღეს ნინო ბერლინში იმყოფებოდა. 1945 წლის აგვისტოში კი თავის ოჯახს დაუბრუნდა. ყაზბეგში ომში დაღუპულებს დასტიროდნენ, მათ შორის ნინოს ორი ძმაც იყო. ქალს ტვირთი დააწვა მხრებზე: დედას და უმამოდ დარჩენილ დაძმას უნდა დახმარებოდა. ნინო ფიზიო-თერაპიულ საავადმყოფოში შეუდგა მუშაობას, სადაც მას მამა-შვილურად შეხვდა პროფესორი ზანდუკელი. ავადმყოფთა შორის ბევრი ომგადახდილი იყო.

— შენ ჩემი გადამრჩენი ხარ, — უთხრა ერთ-ერთმა მებრძოლმა, — არ გახსოვართ, გიორგი სახაშვილი?

გავიდა ხანი. ისინი დაქორწინდნენ. 37 წელი იმუშავა ნინომ ერთ საავადმყოფოში და მის ჯილდოებს „შრომის ვეტერანის" მედალიც შეემატა. მრავალი მადლობა აქვს მიღებული ავადმყოფებისაგან გულისხმიერებისათვის; საქართველოს სსრ მედიცინის დამსახურებული მუშაკის წოდებაც მიენიჭა. აი, უკვე შვიდი წელია, თავისი სპეციალობით შრომითი რეზერვების სპორტულ კომპლექსში მუშაობს.

ნინოს ვაჟიშვილი მურმანი სამხედრო სავალდებულო სამსახურს იხდის ლენინგრადთან. გოგონამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა და ლენინგრადში მუშაობს, იქ, სადაც 42 წლის წინათ ნინო იბრძოდა დიდი ლენინის ქალაქის გათავისუფლებისთვის. ნინოს მეუღლე გიორგი სახაშვილი, სპეციალობით პედაგოგი, საშუალო სკოლის დირექტორია. მის მკერდსაც ამშვენებს საბრძოლო ორდენები და მედლები. ჩვენი ოჯახის წევრებს ხშირად არ გვიხდება ერთად ყოფნა, მაგრამ, როცა შვილები ლენინგრადიდან ჩამოდიან, ნამდვილი დღესასწაული გვაქვსო, — ამბობს ნინო.

...მე უკვე ვამთავრებდი საუბარს ნინოსთან, როცა სპორტული დარბაზიდან შემოვიდა ბიჭუნა და უთხრა: „ნინო დეიდა, ფეხი ვიღრძე". „ახლავე შვილო, ახლავე მოგარჩენ" — უპასუხა ნინომ და ბავშვის ნაღრძობ ფეხთან დაიხარა.

ა. პაპაიანი,
საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი, დიდი სამამულო ომის ვეტერანი.



# სოფელმა სანთლად დაინთო

## ომში წასული საქმროს მოლოდინში



მეოცე გაზაფხულს ითვლიდა მათიკო ხუროშვილი, გორის რაიონის სოფელ ხვითში რომ გაგზავნეს სამუშაოდ. შვილივით მიიღო სოფელმა შველივით ყელმოღერებული ქალიშვილი. ჭაბუკები თვალს ხომ არ დახუჭავდნენ და... თაყვანისმცემელიც უმალ გამოუჩნდა — ნიკოლოზ ნიკუჭაძე... ბარე ბევრს გაუტყდა ძილი, როცა გაიგეს „მათიკოს და ნიკოს პირობა უთქვამთ, შემოდგომაზე ქორწილს ეპირებიანო, მაგრამ... კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო.

გათენდა ავადმოსაგონარი ორმოცდაერთის ოცდაორი ივნისი.

პირველსავე დაძახილზე სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგნენ ხვითელი ვაჟკაცები.

— დიდი-დიდი ორ-სამ თვეს ვერ გნახო. გავიმარჯვებთ, ჩამოვალ და ნუ იქნება შემოდგომაი რა, გაზაფხული კი ნაკლებია საქორწილოდა? — ემშვიდობებოდა ნიკო გულისსწორს.

მალე მოვიდა პირველი სამკუთხა ბარათი:

„ჩემი ჯავრი არ გქონდეთ, ჩემო საყვარელო მშობლებო, თქვენ ოღონდ თქვენ თავს გაუფრთხილდით... მე ათმეთაურად ვარ, ეხლა პარტიაშიც მიღებენ... ძალიან მიხარიან..."

მათიკო ხშირად დაჰყურებდა ხოლმე ფანქრით ნაწერ სტრიქონებს: „ჯავრი ნუ გექნება, ჩემი ტყვიამფრქვევი კვერცხმდებელი ქათამივით კაკანებს და ჟლეტავს ფაშისტებს. ომი მალე დამთავრდება. გული არ დაიჩაგრო. მე ჩამოვალ, აქ არ მოვკვდები. ჩამოვალ და მერე მე ვიცი..."

ომმა სოფელში დღე და ღამე გაასწორა. დღე მინდორში შრომობდნენ ხვითელები, ღამე — თბილ წინდებსა და ხელთათმანებს ქსოვდნენ; მათიკოც იქ იყო, სადაც სოფელს სჭირდებოდა. „ვინ იცის, ეგებ ჩემი მოქსოვილი წინდები ჩემს ნიკოსაც შეხვდესო", გაიფიქრებდა ხოლმე.

ერთ დღეს შინ მიმავალს ნიკოს დედამ დაუძახა და ვიდრე მიესალმებოდა, უწინ ქაღალდი გაუწოდა.

კარგახანია ნიკოსაგან არაფერი ისმოდა და მათიკომ იგუმანა, ნიკოს წერილი თუაო...

„საყვარელო მშობლებო", — თვალებში მორეულმა ცრემლმა სტრიქონები წაშალა. თავს მოერია მათიკო, მაგრამ გული ლამის ამოუვარდა, — დედა და მამავ, თქვენ იცით მათიკო ჩემთვის რაც არის. ეს წერილი წააკითხეთ, თუ მაგისთვისაც ისევე ის ვარ, რაც ვიყა, უთხარით ჩვენსა გადმოვიდეს, შვილივით გაუფრთხილდით. ომი რომ დამთავრდება, სულერთია, ის ჩემი ცოლი უნდა იყოს, სიყვარულიც მაქვს ნათქვამი"...

ბარგი ნიკოს მომდევნო ძმამ გიორგიმ გადაიტანა სახლში. მეორე დღეს ისიც ფრონტზე წავიდა და ნიკუჭაძიაანთა იმედად ახლა მათიკო დარჩათ.

„ნეტაი, ვის გაუგია ქალიშვილი ქალის სადედამთილოსთან გადასვლაი"...

„ უი, ქა! იქნებ ი ბიჭი სუ არ მოდის ფრონტიდანა, მერე რაღას იზამს, ქა..."

„ეგეც თქვენი ნაქები მათიკოი, კაცის დაბევებაი გაგიგონიათ, ხალხო"... ტუტუნებდნენ სოფელში აქაიქ.

„ქვეყნის ალვირს ვინ დაჭედავსო", ფიქრობდა მათიკო, გულის კარნახით ირჯებოდა, ცხარე კრუხივით დაჰფოფინებდა ნიკუჭაანთ კერას. და დღემუდამ იგონებდა: „აბა შენ იცი, თუ მტერს ჩემ გულზე არ გადაატარებ, მე სიკვდილამდე არ დავივიწყებ, რომ დედაჩემი შენ გაბარია. ჩემი დარდი არ გქონდეთ, აქედან კირკაჟივით ბიჭი ჩამოვალ"..

ნიკოლოზ ნიკუჭაძე სამხრეთ უკრაინის ფრონტიდან 1942 წლის ივლისამდე იწერებოდა, მერე სამკუთხა ბარათები შეწყდა და წვრილდებოდა და წვრილდებოდა მათიკოს იმედის ძაფი.

ერთ დღეს ნიკუჭაძეებს მათიკოს მშობლები ესტუმრენ ხურვალეთიდან.

„წავიყვანთ ამ ჩვენს ქალს, როდემდე იყოს ნიკუჭაანთ კერასა".

ნიკოს დედა მუხლმოყრით შეევედრა „რა იყო, თქვე კაი ხალხო, თქვენი ხომ ფრონტზე არ არის, ჩემია ფრონტზე. იქნებ დაბრუნდეს ი ბიჭი, თუ არა და თქვენს ქალს ვინ დაგიჭერთ..."

ნიკო ვერ დაუბრუნდა თავის მათიკოს.

მათიკომ სიტყვა არ გატეხა, არ გაალივა საქმროს კერა.

ნიკოს უმცროსი და-ძმა დაზარდა, ასწავლა, დაოჯახა.

შვილის მოლოდინით გულგაღეული მშობლები სამუდამო სამყოფელში დააბინავა.

სოფელმა სანთლად დაინთო მათიკოს ერთგულება.

მერე:

მათიკო აგიტატორი, ადგილობრივი საბჭოების დეპუტატი, მათიკო სოფლის ყველა სულიერი და ფიზიკური ტკივილის დამყუჩებელი, სოფლის ახალშობილთა პირველი დამლოცველი. ომი რომ დამთავრდა, ჯერ კანტიკუნტად იბადებოდნენ ხვითში გოგო-ბიჭები, მერე თანდათან მოემატა სოფლის ფერშალს საზრუნავი.

1949-ში, დიდთოვლობას ხვითში ცხრამეტმა ოჯახმა გაიხარა ქალ-ვაჟიანობით. მას შემდეგ დაბადებულნიც ყველა მათიკოს ხელდასხმულია.

„ნიკოს ქვრივად დარჩენილმა მათიკომ ნიკოს დისშვილებიც დაზარდა, თემურ და რომან გვიშიანები. ისინიც დაათავიანა, დაოჯახა და ახლა „შვილიშვილებს" დამგურგურებს, თუმცა ცხადად თუ სიზმრად ისევ ელის ნიკოს. ორმოცდახუთმა წელმა პირი ვერ შეუკრა იარას, მაგრამ თვალები და გული ისევ ძველებურად სხივიანი და კეთილი აქვს — ალბათ იმიტომ, ასეთ ამაღლებულ გრძნობას რომ ატარებს, ასეთი ძლიერი სული და ადამიანისათვის ძნელმისაწვდომი სიწმინდე რომ ამკობს.

ლალი ჭანკოტაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა




მხატვარი მალხაზ კუხაშვილი

ქალაქის ცხოვრებას აქვს თავისი გამორჩეული და დასამახსოვრებელი დღეები, სწორედ ასეთი უჩვეულო დღე იდგა; ზღვა ხალხი იყო გამოსული, ნაკადად მივედინებოდით, მივყვებოდით [illegible] გამარჯვების პარკისკენ, უცნობი ჯარისკაცის ნეშტს მივაცილებდით... პარკის შუაგულში ჯარისკაცისთვის მუდმივი სამყოფელი იყო გამზადებული: — ქართულ მიწას დაუყვედრებლად გადაეშალა თავისი გული.

საფლავთან შესდგა ხალხი. თავდახრილი იდგნენ მამაკაცები.

— იქნებ შვილია ჩემი?!

— იქნებ მამაა ჩემი?!

— იქნებ ძმაა ჩემი?!

— იქნებ ქმარია ჩემი?! — თავს ვერ იკავებდნენ, ნაზრევს ხმამაღლა ამოთქვამდნენ სახემოღუშული, თვალზე ცრემლმომდგარი მანდილოსნები.

აუარება თვალი შესცქერის ნეშტს. იგი მოწიწებით ჩაუშვეს სამარეში: — საფლავზე უქრობი ცეცხლი აგიზგიზდა...

დიდხანს ვიდექით ომის უსიამოვნო მოგონებით გულამღვრეულები,..

ჩემს გვერდით უცნობის დაჟინებულმა ცქერამ მიიპყრო ჩემი ყურადღება; მორიდებით გავხედე. ის თითქოს ელოდა ამას, მთლიანად ჩემსკენ შემობრუნდა, შემომხედა და დიდიხნის ნაცნობივით მითხრა: — აი ნამდვილი უკვდავება, — ღვთიური მადლით გაჩირაღდნებული!

— დიახ, უდაოდ! — გავიზიარე მისი აღფრთოვანება.

— ყველა დაღუპულს როდი ერგო ეს ბედნიერება! — კაცის სახეზე გამოხატული აღტაცება უკმაყოფილებამ შეცვალა; გამოერიენ ისეთებიც, რომელთა გონება წყვდიადმა მოსრა, — ბნელეთმა დაახშო! — გამოსცრა ზიზღით. გაკვირვებულმა შევხედე და გულდასმით შევათვალიერე თანამოსაუბრე, — მაღალი იყო. თმები თოვლივით გათეთრებოდა. დაღარულ სახეზე დაღლილობის, სინანულის, სევდის იერი ერთად აღბეჭდოდა...

— ვერ მიცანით? — მკითხა დაეჭვებულმა. თავს ძალა დავატანე. „იქნებ სადმე მინახავს ეს სახე“, მაგრამ ვერ გავიხსენე. უარის ნიშნად მხრები უხერხულად ავიჩეჩე.

— არ გამტყუნებთ. ამდენი წლების შემდეგ რა გასაკვირია?. — მომიგო გულდაწყვეტილმა. ხალხი თანდათან გაიკრიფა. ჩვენ ისევ პირისპირ ვიდექით და ცნობისმოყვარეობით შევცქეროდით ერთმანეთს.

— მიხარია, რომ შეგხვდით, ორიოდ წუთს თუ შემომწირავთ, ჩამოვჯდეთ! მთხოვა და იქვე ახლოს ხის მოგრძო მერხზე მიმანიშნა. უყოყმანოდ დავეთანხმე, მინდა ამოვიცნო ეს საინტერესო კაცი.

— თქვენ ჩემი მეგობარი ხართ! — ჩემი მეგობრებიდან ერთმა მაინც იცოდეს სინამდვილე! — თქვა და უხალისოდ ჩამოჯდა მერხზე.

— ძველი მეგობარი? — გავვოცდი მე, — დიახ ბევრი მეგობარი მყავს, მაგრამ, მაპატიეთ, თქვენ რატომღაც ვერ გაგიხსენეთ!.. ვუთხარი დაბნეულმა და მეც სკამზე მოვკალათდი.

— ვის სჭირდება ასეთი მეგობარი?. — სიცოცხლის გადასარჩენად სამშობლოს ვუღალატე. — დანაშაული ჩავიდინე ჩემი ქალაქის, ჩემი ოჯახის, ჩემი მეგობრების წინაშე! — გადამიშალა გული.

ამას ნამდვილად არ ველოდი; ადგილზე გავშრი...

— შერცხვენილი სიცოცხლით არ მინდოდა მომეწამლა საყვარელი ადამიანები, ამიტომ გავერიდე მათ. — იქ დავრჩი!

„ვინ არიან მისი საყვარელი ადამიანები? — როგორ შეძლო ამდენხანს რომ არ ნახა ისინი?“ ვფიქრობ გაოგნებული...

— დღეს ჩამოვედი ქალაქში... დღევანდელმა დღემ მთლად გამანადგურა, დანაშაულის გრძნობა გამიახლეცა. დავრწმუნდი. არ შეიძლება ჩემი გამართლება! ხომ ხედავთ ადამიანებს როგორ შეუძლიათ ავისა და კარგის გარჩევა; — დრო ყველაფრის მკურნალიაო. ამბობენ, მაგრამ ამაოდ! — ახლაც ვერ გავბედავ მასთან შეხვედრას. ხანდაზმულობის დროსაც, ხელი უნდა ავიღო ჩანაფიქრზე. ისევ უნდა დავტოვო თბილისი! ღრმად ამოიოხრა, თითქოს გული თან ამოაყოლაო და ჩაფიქრებულმა დასძინა; — არც იმის უფლება მაქვს; ვიცხოვრო თბილისში. რადგან მისთვის არაფერი მიკეთებია!

გული გამალებით მიცემს, ამოვარდნას ლამობს, ვისმენ საშინელ

ალსარებას და ყველაზე საოცრება ის არის, — სიტყვას ვერ ვპოულობ კაცის დასამშვიდებლად...

— დიახ, ომმა საშინლად შეაკრთო და დააბნია ზოგიერთი ადამიანის აზროვნება! ძლივს ამოვიდგი ენა. — ომის დროს ჩემს მეგობარს ნუგეშისა და იმედიანი სიტყვების მაგიერ, იცით, რას წერდა პანიკით შეპყრობილი მეუღლე?! ახლაც ზეპირად მახსოვს ის სიტყვები: „ყველაფერი ინგრევა. უკან ვიხევთ, ფეხდაფეხ მოგვდევს მტერი; — ხომ იცი, ძნელია შეელიო სიცოცხლეს! — არ ვიცი, როგორ მოვიქცე, არც ის ვიცი, რა მელის“ — ასეთი სიტყვებით სავსე წერილი მისი ბოლო წერილი გამოდგა; მოგვიანებით შევიტყვეთ, ტყვედ ჩავარდნილიყო, ახლაც ელის საცოდავი ქალი! — მიწის ფერმა გადაჰკრა, ჩემი ნათქვამი მწვავედ განიცადა, თავი ჩაჰკიდა და როდის, როდის მოგვიანებით ამოღერღა; — ნანი!.. ეს მე ვარ ლევანი. ვერ მიცანით? ვერ ავწერ, რა დამემართა, „სმენამ ხომ არ მიმტყუნა?“ გულს ბაგა-ბუგი გააქვს და არაადამიანური ხმით ვყვირი: — ლევან!

— ლევან, ეს შენა ხარ?! გავიმეორე შერბილებული ხმით მისი სახელი და მრავლისმეტყველი თვალი მივაპყრე; არ მინახავს ასეთი წახდომა კაცისა! თვალებში დამნაშავის გაუნელებელი ცეცხლი უღვიოდა. საშინელმა შფოთმა მოიცვა მთელი მისი არსება.

უსაზღვრო იყო ჩემი მღელვარებაც, ცოტა რომ დავწყნარდი, ვუამბე მას თავისი მეუღლის ცხოვრების ყოველი წვრილმანი...

არასოდეს განმიცდია ასეთი გულისამაჩუყებელი სინამდვილე, — ვზივარ ტირიფის ქოლგასავით გაშლილ ტოტების ქვეშ ლამპიონებით განათებულ, ზღაპრულად წარმტაც გამარჯვების ბაღში და გულისტკივილით შევყურებ ომის დროს დამარცხებულ, საცოდავ ადამიანს.

ღამე ფიქრებში გავატარე. როგორ მოვიქცე? როგორ ვუთხრა ამ მოულოდნელი შეხვედრის ამბავი მეგობარს, რომ მის ფაქიზ, მგრძნობიარე გულს ნაკლები ტკივილი მივაყენო?!

ჯერ ისევ დილაა. მისი სახლის წინ ვდგევარ... ქუჩის ორივე მხარეს ჩამწკრივებული შენობები ახლად ამოწვერილ მზის ოქროსფერ სხივებში საოცრად ლივლივებს. ვდგევარ, ვფიქრობ და მჯერა: ამ ქუჩასაც ახსოვს მათი ბედნიერების პირველი დღეები, ეს იყო ომის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე; ქალაქის მმაჩის ბიუროდან მომხიბლავი წყვილი გამოვიდა;

ნეფემ თავის რჩეულს ხელი ბავშვივით ჩასჭიდა და სოფლიდან ჩამოყვანილ გოგონას საქორწინო მოგზაურობა ქალაქის შემოგარენში შესთავაზა... მთელი ამალა მივყევით მათ...

— აი ეს წმინდა მთა შენთვის მიჩუქებია! — შესთავაზა ნეფემ დედოფალს და მამადავითის მთა ფეხით შემოატარა...

— აი ეს მტკვარიც, ვერცხლის ქამარივით რომ არტყია თბილისს! — გადმოახედა სიმაღლიდან, — რომელი სანაპირო მოგწონს? — თუმცა ისინი რა გასაყოფია, ორივე შენთვის მომირთმევია! — რუსუდანს ცისფერი თვალებიდან ქალური სინაზე და კდემამოსილება გადმოეღვარა. მრავალი ასეთი ღირსშესანიშნავი საჩუქრებით გულავსებული დაბრუნდა შინ. ლევანმა თავისი ოთახის კარი შეუღო. პატარძალმა შიგ ყვავილების უზარმაზარი თაიგულის სურნელება შეიტანა...

ხანმოკლე იყო მათი ბედნიერება.

ლევანი მალე ომში გავაცილეთ; ნავთლუღის გამანაწილებელ პუნქტის ეზოში ვიყავით თავმოყრილი. ცოლ-ქმარი უხმოდ შესციცინებდა ერთმანეთს, მხოლოდ მათი თვალები მეტყველებდნენ იმ უსაზღვრო და უკიდეგანო წუხილზე, მაშინ რომ გაჩნდა მათ გულში.

შუაღამე გადასული იყო, ლევანი შენიღბულ ვაგონში ავიდა, სამხედრო ეშელონი დაიძრა...

გულდაწყვეტილები დავბრუნდით. რუსუდანი ფეხმძიმედ იყო. იმ ხანებში სულ მასთან ვათევდი ღამეს. ძლივს მიეჩვია მარტოობას.

მშობიარობის დროს დედა ესტუმრა სოფლიდან... მე და დეიდა ოლიამ წამოვიყვანეთ სამშობიაროდან. ოთახში შესვლისთანავე მეუღლის სურათთან შეჩერდა, მღელვარე სახით შესცქეროდა;

— ლევან, ჩვენ შვილი გვყავს, — გესმის? ვაჟიშვილი! — ამოხეთქა თავისი სიხარული...

მე და დეიდა ოლიამ ერთმანეთს გადავხედეთ; დეიდა ოლიას თვალზე ცრემლი უკიაფებდა. შვილისთვის რომ განწყობილება შეემსუბუქებინა, სოფლიდან ჩამოტანილი დოვლათით აავსო მაგიდა და სუფრასთან მიჯვიპატიჟა...

საწოლზე დაგორებული ათიოდე დღის ჩვილი ავსებდა ჩვენი გულების სიცარიელეს...

— მიჭირს უმისოდ ყოფნა! — შემომჩივლა იმ საღამოს რუსუდანმა. — დედას უნდა წავყვე სოფელში, ჩემი ბიჭუნაც დიდედასთან უკეთ იგრძნობს თავს, — ხომ იცი, იქაც საჭიროა ადამიანის ხელი! — ომი რომ დამთავრდება, — თქვა იმედითა და შემართებით, — ლევანი ჩამოვა, მაშინ ჩვენ ახალ ცხოვრებას დავიწყებთ!

ბევრჯერ გავატარე მასთან ზაფხული, ედემის ბაღს ჰგავდა მისი მოვლილი ეზო. ყველას სწვდებოდა ახალგაზრდა ქალის მშრომელი და დაუზარელი მარჯვენა — კოლექტივს, მეზობლებს, ახლობლებს.

გავიდა დრო. ომი დამთავრდა. ლევანისა კი არაფერი ისმოდა...

„და აი ახლა, — ღმერთო ჩემო!“ — ძლივს გამოვერკვიე. მოგონებები თავიდან მოვიშორე და როგორც იქნა გადავდგი ნაბიჯი.

რუსუდანი მარტო დამხვდა, შვილი და რძალი სამსახურში წასულიყვნენ. შვილიშვილი, — პატარა ლევანი ბაღში წაეყვანათ.

ამან დამამშვიდა კიდეც, მეგობარი გვერდით მოვისვი და არ ვიცი როგორ დავიწყე მოყოლა.

გაოცებული შემომცქეროდა. გულდასმით მისმენს, მაგრამ ვატყობ, არ სჯერა ჩემი.

— შენ შეხვდები მას, ყველაფერი კარგად დამთავრდება, აი ნახავ! — გავუიოლე მე, მაგრამ მისმა შემოხედვამ შემაკრთო; გამიკვირდა. ასე უცბად როგორ ჩაიფერფლა მის თვალებში ყველასადმი და ყველაფრისადმი ინტერესი. ხმა ვერ ამოიღო. იჯდა თავზარდაცემული და გარინდებული... — კარგად მესმის მისი, — დაკარგა რწმენა იმ ადამიანისა, რომელსაც მთელი ცხოვრება ანდო, რომლის სიყვარულმაც კვება ამდენი ხანი მისი ყმაწვილქალობა. ძნელი იყო ამ წუთში მასთან საუბრის გაგრძელება. შევატყვე, მარტო ერჩია დარჩენა.

— კარგი, დამშვიდდი, გონს მოდი! — შევეხვეწე გულით და მარტო დავტოვე. მეორე დღეს რომ მივედი, შინ არ დამხვდა. სად არის-მეთქი, — ვიკითხე გაკვირვებულმა.

— არ ვიცი, წასვლას არ აპირებდა — უცებ გადაწყვიტა, საქმე მაქვსო, დაგვიბარა და სოფელში წავიდა! — მიპასუხა, თვითონაც არანაკლებ გაკვირვებულმა რუსუდანის რძალმა.

— წავიდა... ა! — გულდაწყვეტილმა ჩავილაპარაკე ოთახის ზღურბლთან და აფორიაქებული დავეშვი საფეხურებზე. „შვილისთვისაც არ გაუმხელია!“ — გამიელვა თავში.

ყველაფერი ამერია. ათასნაირი აზრი მიტრიალებს... როგორ აჯობებს? — მერამდენედ ვეკითხები თავს.

„რუსუდანის შეუთანხმებლად ლევანი რომ სოფელში ჩასვლაზე დავითანხმო?! მაგრამ ჩემს ჩანაფიქრს შესრულება არ ეწერა.

შემზარავი ამბავი შევიტყვეთ; რუსუდანი გარდაიცვალა! — იტყობინებოდნენ ნათესავები. მძიმე იყო ამის გადატანა. რომ ჩავედით, გლოვის ზარი იდგა მის მშობლიურ კერაზე. რუსუდანის უეცარ დაღუპვას არავინ ელოდა, ყველაზე მეტად ეს იყო ძნელად შესაგუებელი.

მის ქანდაკებასავით გამოკვეთილ სახეს თვალმოუშორებლად ჩასცქეროდა მისი ერთადერთი შვილი; — უდაო იყო, დედის ფერფლისფერი ლანდი საფიცრად დარჩებოდა ვაჟკაცის ცხოვრებაში.

...კუბოსთან გაქვავებული სახით დაიხარა ლევანი. ვერავინ შეძლებდა დაეხატა ეს მწუხარება; მისი თვალებიდან მომსკდარი ცრემლი იყო დიდიხნის უნახავი მეუღლისადმი მიძღვნილი უკანასკნელი საჩუქარი.

მდინარე ლიახვის პირას მდებარე პატარა სოფელში, აშოლტილი ვერხვის ძირში დაკრძალეს რუსუდანი...

— იძინე მშვიდად! ესღა ამოვილუღლუღე და აუწერელი გულისწუხილით დავტოვე მეგობრის ახლადამოვსებული სამარე, რომელიც უთვალავმა ლამაზმა ყვავილმა შეამკო.

ნინო მგალობლიშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტანკა პენჩევა

* * *

ადამიანი უნდა იყოს ისეთი მდიდარი,
რომ გინდაც დაკარგოს ბევრჯერ
ბევრი დასაკარგავი,
მაინც უნდა დარჩეს ქვეყნად რაღაც ხელჩასაჭიდი
საქმე — რომელიც
არის მისი სიცოცხლის აზრი
სიმღერა ერთი ამოსუნთქვით ამონაკვნესი,
შვილი, რომელიც
შინ მიელის გულისფანცქალით.
და თუ არც ერთი გააჩნია
და არც მეორე,
წუთისოფელი კარგს არაფერს აღარ პირდება,
არც სიყვარული შეუძლია, არც სიძულვილი,
ფუღურო ხეს ჰგავს
ამნაირი ადამიანი.
ვერვინ შეამჩნევს მის არყოფნას,
ისე მოკვდება.

* * *

მე ძლიერი ვარ შენი სიყვარულით,
ენაჩავარდნილი და მდუმარე
ვდგავარ
შენს წინაშე.
ჩემს თმებში მზის სხივებია ჩაღვრილი,
ჩემი ბაგეებიდან თაფლი და ღვინო მოწვეთს,
ჩემი ხელისგულები ცეცხლით იწვიან,
ეს არც ვნებაა
და არც სურვილი.
ჯვარზე გაკვრაც რომ დაგიპირო,
უკან არ დაიხევ,
სახადის ანგელოზად რომ გამოგეცხადო,
კარებს ფართოდ გამიღებ.
შენ ხმას არ იღებ,
მაგრამ შენს ნაცვლად
მიწა გაჰყვირის, მიყვარხარ, მიყვარხარ!
და მე, შენი გულის მბრძანებელი,
მორჩილად ვიყრი მუხლს შენს წინაშე,
და სიამაყეს შორს ვისვრი, როგორც
გადახდილ საბანს.
შენ ისეთი ძლიერებით ამავსე,
მინდა სამუდამოდ შენი მონამორჩილი ვიყო.

## ჩემი გოგონა

ჩვენს ქუჩაზე
ერთი თმაქოჩორა ბიჭი
წარამარა აივლ-ჩაივლის ხოლმე.
ხან ხელში რადიომიმღებს აწვალებს, ხან
თვალშისაცემი ფერის პერანგით
ველოსიპედზე ამხედრებული
გვივლის გარშემო.
თან მეცინება,
თან მსიამოვნებს,
თავს ვთვლი დიდად და
დაბრძენებულად.
მე უკვე ჩემი დრო მოვჭამე.
ახლა შენი ჯერია
და ყველაფერი ისევ თავიდან დაიწყება.
ჩემო პატარა,
ჯერ რომ ისევ ბავშვური
მხრები გაქვს
და გატეხილი მუხლი
არ გაგმთელებია.
როდის?
როდის დაქალდი ასე მალე?
თვალებს აქეთ-იქით აცეცებ ალეწილი,
გული ყელში გებჯინება,
და ვგრძნობ, ვიღაც უჩინარი
ჩვენს შორის დგას.
ეს შენი პირველი სიყვარულია.
ყვავილივით ახლად გაღვიძებული,
პეპელასავით ნაზი და სათუთი,
რომელსაც ჩემი უხეში ხელი ვერ შეეხება,
ჩემო პატარა, ჩემო პაწაწინა,
ჯერ კიდევ ჩემად რომ მეგულები,
ვიცი, ჩქარა გამიფრინდები, არ ვიცი,
საით წაგიღებს ცხოვრების ნიაღვარი,
ჩემო სიხარულო, ჯერ კიდევ ჩემად
რომ მეგულები,
არ ვიცი, რას მოგიტანს წლები,
ან ეს ბიჭი რა ბედს გწევს,
როცა დაკაცდება.
სამოთხის ბაღში მოგიწევს ცხოვრება,
თუ ოცნების კოშკებს ქარი დაგიქცევს.
მოისხავს თუ არა ჭინჭირა
ლამაზ ვარდებს,
როგორ მეშინია, როგორ იფრენ
უმწეო პეპელა.
ო, როგორ მტკივა გული, როგორ
ვშფოთავ და განვიცდი,
შენ სიყვარულის ცეცხლის ალში ხარ გახვეული.
არ ვიცი შიგ დაიწვები, თუ
მისი შუქით გაცისკროვნდები.
და მე შენ გაძლევ უსიტყვოდ ყველაფერს,
რაც გამაჩნია ყველაზე ძვირფასი ამ ქვეყნად,
და იმასაც, რაც არ გამაჩნია,
ჩემო პატარა
ქალო,
ღმერთს ვევედრები,
ბედნიერი გამყოფოს
ქვეყნად!

თარგმნა მედეა კახიძემ




ეროვნული ბიბლიოთეკა

# მხატვარიც, მკვლევარიც

„მხატვარი ნინო ზაალიშვილი მისი ნიჭისა და ბრწყინვალე შემოქმედებითი შესაძლებლობებით სასახელო წევრი იქნება მხატვართა კავშირისა" — ასე დაულოცა დამოუკიდებელი შემოქმედებითი გზა ცნობილმა ქართველმა მხატვარმა ლადო გრიგოლიამ თავის მოწაფეს და იგი არ შემცდარა. მისი დახასიათება წინასწარმეტყველებად იქცა.

ნინო ზაალიშვილის, როგორც შემოქმედის, ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვის ოჯახურ გარემოს. მამა ცნობილი არქიტექტორი, პროფესორი სოსო ზაალიშვილი ქართველ ხუროთმოძღვართა პირველ თაობას ეკუთვნოდა. მისი საუბრები ხელოვნებაზე, მოგონებები პედაგოგებზე, ქართული კულტურის გამოჩენილ მოღვაწეებზე დიდ ზეგავლენას ახდენდა გოგონაზე. დედამ ლიტერატურის სამყაროში შეიყვანა ქალიშვილი. ორი კერპის — მხატვრობისა და ხელოვნების ისტორიის სიყვარული სწორედ ამ ვითარებამ განაპირობა.

1964 წელს ნინო ზაალიშვილი სამხატვრო აკადემიის სტუდენტი გახდა. „კურსი, რომელზეც მე ვსწავლობდი, გამორჩეული იყო. მომავალში მან დიდი როლი ითამაშა 70-იანი წლების ქართული გრაფიკის თავისთავადი სახის ჩამოყალიბებაში. შემოქმედებითი შეჯიბრი მნიშვნელოვანი სტიმული იყო ახალგაზრდა მხატვრების ზრდისათვის" — იგონებს ნინო და მართლაც, მისი თანაკურსელები ა. თევზაძე, ც. ტერელაძე, კ. ფაჩულია, გ. ღლონტი, გ. წერეთელი დღესაც ქართული ილუსტრაციისა და დაზგური გრაფიკის წამყვანი ოსტატები არიან.

ნინო ზაალიშვილმა თავისი შესაძლებლობანი სცადა დაზგურ გრაფიკაში, შექმნა რამდენიმე პლაკატიც, მაგრამ ყველაზე სრულად მისი შემოქმედებითი უნარი ილუსტრაციაში გამოვლინდა. განსაკუთრებით დაინტერესებულია მხატვრული კლასიკური ლიტერატურით და ფოლკლორით: ჯერ კიდევ სტუდენტობისას ერთერთმა პირველმა ქართველ მხატვართა შორის სცადა ი. ცურტაველის „შუშანიკის წამების" დასურათება. 1970 წ. მან შეასრულა ილუსტრაციების სერია „ქართული ხალხური ანდაზები". ნამუშევრებში წინა პლანზეა წამოწეული ხალხური შემოქმედებისათვის დამახასიათებელი სიბრძნე, იუმორი, კარგადაა გამოყენებული შავი ფონი, გუაშით შესრულებული. დეკორატიული ფერადოვანი კომპოზიციები, ოსტატურად ჩართული შრიფტი აძლიერებს საზეიმო შთაბეჭდილებას. აკადემიის დამთავრების შემდეგ ნინო ზაალიშვილმა დიდი ყურადღება დაუთმო საბავშვო წიგნების გაფორმებას. გამომცემლობა „ნაკადულში" მან დაასურათა მრავალი საინტერესო გამოცემა: ძმები გრიმების, ჩეხური ლიტერატურის კლასიკოსის ბ. ნემცოვას, ლ. ფელდეკის ზღაპრები, ინგლისელი მწერლის ჯ. ბარის ცნობილი ნაწარმოები „პიტერი და ვენდი", ქართველი პოეტების გ. ორბელიანის, შიო მღვიმელის, ი. გრიშაშვილის ლექსები, ა. სულაკაურის „სალამურას თავგადასავალი" და სხვა მრავალი. მხატვარი ზრუნავს არა მხოლოდ ნაწარმოების შინაარსის პირდაპირი ილუსტრირებისათვის, არამედ ითვალისწინებს ბავშვური აღქმის თავისებურებასაც. წიგნთან კონტაქტი ყდიდან იწყება. მასზე შექმნილი გამოსახულება უკვე თხრობის დასაწყისია. ნ. ზაალიშვილი მიმართავს მრავალფეროვან საშუალებებს, რათა დააინტერესოს ნორჩი მკითხველი, იყენებს ხალისიან ფერებს, მეტყველ, გასაგებ ნახატს, იოლად წასაკითხ შრიფტს.

ნინო ზაალიშვილის წიგნის გრაფიკის ერთერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოებია მისი ილუსტრაციები სულხან საბა ორბელიანის იგავ-არაკების კრებულისათვის „სიბრძნე სიცრუისა". ეს თემა ფართოდაა წარმოდგენილი ქართველ მხატვართა შემოქმედებაში, რაც ავტორს რთული ამოცანის წინაშე აყენებდა. მაგრამ მისი გადაწყვეტა იმდენად თვითმყოფადი და საინტერესო აღმოჩნდა, რომ ნამუშევრებმა საკუთარი ადგილი მოიპოვა ამ სერიალში. მხატვრულ მთლიანობაშია მოყვანილი ყდა, ტიტული, ფორზაცი, ილუსტრაცია. ყოველი კომპოზიცია თითქოს ერთგვარ თეატრალურ მოედანს წარმოადგენს, რომლის ცენტრში მთავარი მოქმედი პირებია გამოსახული, ხოლო მათ გარშემო რკალი შეუკრავს მაყურებელს. ეს არის უჩვეულო პერსონიფიცირებული ჩარჩო, რომლის მონაწილენი თითქოს კომენტარს უკეთებენ ცენტრალურ პერსონაჟთა მოქმედებას. მათი მეოხებით ძლიერდება სიუჟეტური ხაზი, იქმნება განწყობილება, ცოცხლდება ნახატი. მაყურებელი დასცინის ბოროტებას, თანაუგრძნობს სიკეთეს. ერთ ტონში გადაწყვეტილი მოჩარჩოება უპირისპირდება ფერადოვან ილუსტრაციას. ამგვარი კონტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



რასტი საინტერესო აქცენტს ქმნის, ხაზს უსვამს მხატვრის ჩანაფიქრს.

გამომცემლობა ,,ნაკადულში'' მომზადებული ქართული ზღაპრების ახალი კრებულის ილუსტრირებაში სხვა ცნობილ მხატვრებთან ერთად ნინო ზაალიშვილმაც მიიღო მონაწილეობა. მან დაასურათა ზღაპარი ,,მონადირის შვილი''. გრაფიკოსი კვლავ იყენებს შავ ფონს. ანდაზებთან შედარებით ნახატი უფრო თავისუფალია, იგრძნობა მეტი ჰარმონიულობა ფერთა შეხამებაში. კომპოზიციები გამოირჩევა დეკორატიულობით და სინატიფით.

ნინო ზაალიშვილის ნამუშევრების უმრავლესობა გუაშით, აკვარელით და ტუშითაა შესრულებული. ეს მასალები კარგად ესადაგება მის შემოქმედებით ინდივიდუალობას. თავისი თაობის გრაფიკოსთა უმრავლესობისაგან განსხვავებით იგი შედარებით იშვიათად მიმართავს გრავიურის სხვადასხვა ტექნიკას. თუმცა მის ოფორტების სერიაში — ,,შინდარჩენილები'' მონოტიპიების სერიაში — ,,კარნავალი'', მინიატურებში ჩანს ტექნიკის კარგი ცოდნა და გემოვნება. ბოლო წლებში ნ. ზაალიშვილი თანამშრომლობს გამომცემლობა ,,მერანთან'' და მთარგმნელობით კოლეგიასთან.

მის მიერ გაფორმებულ წიგნებს საკუთარი სა-

სულხან-საბა ორბელიანი —
იგავ-არაკები





ქართული ხალხური ზღაპარი — „მონადირის შვილი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვსევოლოდ ნესტაიკო — მზის ბაჟიების ქვეყანაში





ილუსტრაციები ძმები გრიმების ზღაპრებისათვის



გოჟენა ნემცოვა — მარილი ოქროზე ძვირფასია



ხე აქვს. მხატვარი კარგად გრძნობს ნაწარმოების სტილს, ავტორის მანერას. სხვადასხვა ეპოქისა და ინდივიდუალობის მწერალთა სამყაროს გადმოცემის ერთერთი გამომსახველი საშუალება ხდება პასტელით შესრულებული თავისუფალი ნახატისა და ანაწყობი შრიფტის კონტრასტი.

ნინო ზაალიშვილისათვის ერთერთი მნიშვნელოვანი სფეროა პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობა; 1972 წლიდან პროფ. ლ. რჩეულიშვილის მიწვევით მუშაობს სამხატვრო აკადემიის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრაზე; სტუდენტებთან ურთიერთობისას თავის მთავარ ამოცანად თვლის ზრუნვას მათი თვალსაწიერის გაფართოებისათვის. მისი სახით სტუდენტებს ჰყავთ მათი შემოქმედებით დიდად დაინტერესებული პედაგოგი.

ნ. ზაალიშვილის სამეცნიერო ინტერესები უმთავრესად თანამედროვე ქართული ილუსტრაციისა და ესტამპის საკითხებს ეხება. იგი იკვლევს ქართული გრაფიკის განვითარების აქტუალურ პრობლემებს. ნინო ზაალიშვილის ინტერესების მრავალფეროვნების მიუხედავად ყველა მათგანი თავს იყრის ერთ სფეროში. ესაა გრაფიკა, წიგნის ხელოვნება, მისი მრავალმხრივი მხატვრული შესაძლებლობანი.

ნინო ზაალიშვილს, როგორც შემოქმედს, ამდიდრებს მისი თეორიული განსწავლულობა და ფართო ერუდიცია გრაფიკის ისტორიის საკითხებში, ხოლო როგორც მეცნიერს, მას ბევრს მატებს პრაქტიკოსი მხატვრის გამოცდილება. ამგვარი ჰარმონიული შეხამება მისი შემოქმედებითი სახის შექმნის მნიშვნელოვანი კომპონენტია.

ნანა კიკნაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელ საზოგადოებას აღელვებს ქართული ჩაის პრესტიჟი. სასმელად მას ხალისით როდი ყიდულობენ. რაშია საქმე? რამდენიმე წლის წინ ხომ გავავრცელეთ მოწოდება — ყველა ქართველ მეჩაიეს მოეკრიფა მხოლოდ უმაღლესი ხარისხის პროდუქცია. ჩანს, ეს მოწოდება ჯერ კიდევ არ არის ყველა მშრომელამდე დასული. სწორედ, ჩაის ხარისხის გაუმჯობესების პრობლემებს, ჩაის სარგებლიანობასა და ჩაის სახლის ამოცანებზეა საუბარი ჩვენს ინტერვიუში.

# სიცოცხლის ელექსირი

## საუბარი თბილისის ჩაის სახლის დირექტორთან ნუნუ ნებიერიძესთან



ნუნუ ნებიერიძე ქართული ჩაის კვირეულზე ქალაქ სვერდლოვსკში

— შარშან, ზაფხულში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში სერიოზულად იმსჯელეს მეჩაიეობის განვითარების შესახებ, ჩაის პლანტაციების დიდი ნაწილი — 80 პროცენტი საქართველოზე მოდის, ამიტომაც განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს ქართული ჩაის ხარისხზე. შესაბამისი სჯა-ბაასი ჩვენს რესპუბლიკაშიც გაიმართა. ქართული ჩაის ხარისხის გაუმჯობესება დღის აუცილებელი მოთხოვნა გახდა — პრობლემა დროული და აქტუალურია. თქვენ, როგორც ჩაის სახლის დირექტორი, რას გვეტყოდით ქართული ჩაის ხარისხის შესახებ?

— კარგია, რომ ჩვენი საუბარი სწორედ აქედან დაიწყო. ისე, როგორც ყველა ქართველს, მეც მაღელვებს და მაფიქრებს ეს საკითხი, რატომ დაკარგა ქართულმა ჩაიმ ავტორიტეტი, რა მოხდა ასეთი? მინდა მოვიშველიო სოციალისტური შრომის გმირის, ლენინური პრემიის ლაურეატის პროფესორ შალვა კერესელიძის სიტყვები, როცა მან ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს გაზეთ „კომუნისტის" ფურცლებიდან მიმართა: „სასურველია ჰექტარზე დავვეგმოთ არა 10-14, არამედ მაქსიმუმ 4-5 ტონა. ჩაის ხარისხის გაუარესებაზე ძალზე იმოქმედა მინერალური სასუქების ინტენსიურმა ხმარებამ, რაც გამოწვეულია ჩაის მოსავლიანობის გადიდებისაკენ სწრაფვით. მე ორმოცდაათი წელია ამ პრობლემებზე ვმუშაობ და დაკვირვებამ დამანახვა, რომ ამით არა მარტო პროდუქციის ხარისხი უარესდება, არამედ სერიოზულად ზიანდება მცენარეც, ნიადაგიც. შემდეგ კი მათ გამოჯანმრთელებას ათეული წლები მაინც სჭირდება. პროდუქციის ხარისხზე მოქმედებს ჩაის ფოთლის კრეფის მეთოდი, ყოვლად დაუშვებელია მჭრელი აპარატების გამოყენება, რის გამოც ერთმანეთში ირევა ნაზი და უხეში დუყები. კრეფა აუცილებელია შერჩევით. წინათ, როცა ხელით იკრიფებოდა ჩაი, ნაზი ფრაქცია 90 პროცენტზე ნაკლები არ იყო, უხეში ფრაქციის ფოთოლს კი საერთოდ არც ამუშავებდნენ ფაბრიკები, ახლა ჩვენმა მეჩაიეებმა გაიიოლეს საქმე, ხარისხი დაივიწყეს და შედეგიც სახეზე გვაქვს. ადამიანების სიხარბემ და გაუმაძღრობამ, გეგმების ინტენსიურმა ზრდამ მიგვიყვანა აქამდე".

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ქალბატონო ნუნუ, თბილისის ჩაის სახლი გარკვეული ავტორიტეტითა და პოპულარობით სარგებლობს არა მარტო ჩვენში, არამედ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც, რას აკეთებთ ამისათვის? რით აიხსნება თქვენი ასეთი აღიარება? როგორც ამ დარგის გამოცდილი სპეციალისტი, რომელ ჩაის ანიჭებთ უპირატესობას და რატომ? ვინ გამარაგებთ მზა პროდუქციით?

**— ჩვენთან კვალიფიციური, გამოცდილი, ენთუზიასტი ტიტესტერები მუშაობენ, რომლებმაც ჩაის დამზადების ყველა საიდუმლო იციან. თითქმის ყველა სახის ჩაის ვღებულობთ. ჩვენი მომწოდებლები არიან თბილისის და ოჩამჩირის ჩაის საწონი ფაბრიკები, ზუგდიდის საწნეხი კომბინატი. რაც შეეხება ინდურ ჩაის, ჩვენ მის ხმარებაზე უარი ვთქვით. არც მისი ქართულ ჩაიში შერევა მიმაჩნია მიზანშეწონილად. ისე კაცმა რომ თქვას, ეს გემოვნების ამბავია. ნამდვილი ჩაის მცოდნეს და მოყვარულს უფრო მეტად ნაზი, არომატული, სურნელოვანი ქართული ჩაი მოსწონს, ინდურს კი მწკლარტე, მძაფრი გემო დაჰკრავს. არ გეგონოთ ამას ჩვენი ჩაის პოპულარიზაციისათვის ან რაიმე სხვა მოსაზრებით ვამბობდე, რაგინდ დაბალი ხარისხისა არ უნდა იყოს ქართული ჩაი, მას ყველა ზემოდჩამოთვლილი თვისებები მაინც უხვად გააჩნია. ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში განსაკუთრებით მოსწონთ და დიდი მოთხოვნილებაა სამტრედიის ჩაის კომბინატში დამზადებულ ხსნად ჩაიზე, იგი შეიძლება რესპუბლიკის ჩაის მრეწველობის ერთერთ სიახლედაც კი ჩაითვალოს.**

— ერთი-ორი სიტყვით გვიამბეთ ჩაის სახლზე, თქვენი წინამორბედის, თამარ გვანცელაძის შესახებ?

**ჩვენი სახლის დამაარსებელი და მისი პირველი დირექტორი თამარ გვანცელაძე გახლავთ. 1966 წელს, შოთა რუსთაველის 800 წლის იუბილეს დაემთხვა თბილისის ჩაის სახლის გახსნა. იმ დღეებში ბევრი სტუმარიც გვეწვია. მაშინ შედარებით დაბალი იყო ჩაის სმის კულტურა ჩვენში, თითოეულ სულზე წლიურად 120 გრამი ძლივს თუ მოდიოდა, მაშინ როცა ინგლისსა და ირლანდიაში 4-5 კგ აღწევდა. მე მეორე დირექტორი გახლავართ, თერთმეტი წელია ამ მოვალეობას ვასრულებ. ჩვენი სახლი, ქალაქის საექსკურსიო მარშრუტშია შეტანილი, პლანეტაზე არ მეგულება ქვეყანა, მის წარმომადგენელს რომ ჩვენი ტიტესტერების მიერ დამზადებული ჩაი არ ეგემოს. ამ ლამაზი, კეთილმოწყობილი საგამოფენო, სადეგუსტაციო და სადემონსტრაციო დარბაზების ხილვით არ დამტკბარიყოს.**

**ჩვენი სტუმრებიდან ერთი მათგანი მინდა გავიხსენო — დნეპროპეტროვსკელი ალეკო ტარასენკო, სპეციალობით ბიოლოგი. სამეცნიერო მუშაობისას ტყვიით მოწამლული. სად არ იმკურნალა, რა მეთოდებს არ მიმართა, არაფერმა გაჭრა. მერე ჩვენი მწვანე ჩაი ესწავლებინათ და კაცი რამოდენიმე წელში საბოლოოდ განიკურნა. სიტყვამ მოიტანა და მინდა გითხრათ, მწვანე ჩაის სასიკეთო თვისებების შესახებ. შავი და მწვანე ჩაის**



ვალენტინა ტერეშკოვა სტუმრად თბილისის ჩაის სახლში

**ნედლეული ერთნაირია, დამზადების ტექნოლოგიაა სხვადასხვა. მწვანე ჩაი განსაკუთრებით უხდება ათეროსკლეროზით დაავადებულებს. ისე, მე რომ მკითხოთ, ორმოცი წლის ზემოდ მხოლოდ მწვანე ჩაი უნდა მიირთვათ, და რამდენიც გნებავთ, იმდენი. იაპონელები ამტკიცებენ, რომ ვინც ბავშვობიდან სისტემატურად მწვანე ჩაის სვამს, ავთვისებიანი დაავადებები არ უჩნდებათო. ვინ იცის! მწვანე ჩაი წყურვილის მომკვლელი და გამაგრილებელი თვისებებით ხასიათდება, ამიტომაც განსაკუთრებით იზიდავს ცხელ საამქროებში მომუშავეებს.**

— რას გვეტყოდით ჩაის დღეებზე, ე. წ. ჩაის კვირეულზე?

**— ჩაის კვირეულის გამართვა მარტის ბოლო კვირას უკვე ტრადიციად იქცა. მისი მიზანია ვასწავლოთ ადამიანებს ჩაის სმის კულტურა, დამზადების წესი, მოვუთხროთ მის სასიკეთო თვისებებზე. ჩაის კვირეულები მოვაწყვეთ მოსკოვში, ივანოვოში, კიევში, სვერდლოვსკში, ულიანოვსკში, ბამზე (ნია-გრუზინსკაიაში), ერევანში, ჩებოქსარში, ზოგან ჩაის სახლიც კი გავხსენით. ჩებოქსარში ჩაის დღეებში მკვეთრად იკლო ლოთობამ, იმატა მზა ჩაის რეალიზაციამ. ღონისძიებების ჩატარებაში გვერდში მიდგანან ჩემი თანამშრომლები, ნელი საინიშვილი, თამარ ბებურიშვილი, ლამარა ახვლედიანი, დარეჯან დადვანი, ციცო გვაზავა, ლუბა კეიტუკოვა, რ. ჩიქოვანი. ძველი მუშაკებიდან ზოგიერთები სახლის გახსნის დღიდან მუშაობენ აქ. მიძნელდება 50 კაციანი შეკრული კოლექტივიდან რამოდენიმეს გამორჩევა.**

— ქ-ნო ნუნუ, თქვენ შარშან ორთვიანი მივლინებით ბრძანდებოდით ცეილონზე, გვიამბეთ იქაური შთაბეჭდილებების შესახებ?

**— დიდი ხნის ოცნება ამიხდა. შესაძლებლობა მომეცა ჩემი თვალით მენახა და ახლოს გავცნობოდი საქვეყნოდ განთქმულ ეგზოტიკურ ცეილონს, მის ჩაის მრეწველობას. საბჭოთა კავშირმა ხელშეკრულება დადო ცეილონთან შეესყიდა 20 ათასი ტონა ჩაი. მე, როგორც დეგუსტატორს მისი დაჭაშნიკების დიდი პატივი მერგო წილად. იქაური ჩაი ისეთი განსაკუთრებული თვისებებით ხასიათდება, როგორიც ჩვენი ტყიბულის და ორპირისა. გავეცანი სამეცნიერო ინსტიტუტების მუშაობას, დავათვალიერე კერძო და სახელმწიფო ფაბრიკები, სანერგე მეურნეობები, სადაც ჩაის კლონების მეთოდით ამრავლებენ. საერთოდ ჩაის ხელით, შერჩევით კრეფენ, სხვა რამ მეთოდებზე წარმოდგენაც კი არა აქვთ.**

— მინდა ვისარგებლო შემთხვევით და გთხოვოთ, თქვენ, როგორც ჩაის ტექნოლოგმა გაგვაცნოთ მისი დამზადების წესი.

**— რეცეპტი უამრავია — 100-ზე მეტი. იმასაც კი ამბობენ, რამდენი დიასახლისიცაა, იმდენი რეცეპტიაო. ერთერთი აუცილებელი პირობა ჩაის სწორი შენახვაა, იგი მჭიდროდ თავდახურულ მინის, თიხის ან ფაიფურის ჭურჭელში უნდა ინახებოდეს, თბილ ადგილას, სუნიანი პროდუქტებისაგან განცალკევებით. დიდი მნიშვნელობა აქვს წყლის ხარისხს, იგი რბილი, 3-5 წუთის ნადუღები უნდა იყოს. ფერის ჩაიდანს, სანამ შიგ ჩაის ჩავყრიდეთ, გამოვავლოთ მდუღარე, მერე ჩავყაროთ ჩაი და გავჟღინთოთ მდუღარე წყლით, შემდეგ ისევ დავამატოთ ცხელი წყალი, შევფუთოთ და რამდენიმე წუთით გავაჩეროთ. ისე უნდა განვსაზღვროთ, რომ სულზე თითო ჩაის კოვზი ჩაი მოდიოდეს. ასეთი წესით დამზადებული ჩაი, ანუ სიცოცხლის ელექსირი, ყველა სასიკეთო თვისებებს 7-8 საათს ინარჩუნებს.**

საუბარი ჩაიწერა
ნანული ბუკიამ

ეროვნული ბიბლიოთეკა



ექიმი ბევრი გვყავს, მაგრამ ჩვენ მათ შორის ერთერთს გამოვარჩევთ, ვისაც მუდამ ახსოვს, რომ მკურნალი თავის თავს არ ეკუთვნის, რომ მისთვის ჯერ არსებობს ავადმყოფი და შემდეგ ოჯახი... იგი თელაველი ექიმი გახლავთ.

# ლენა ექიმი

ასე იხსენიებს ყველა თელავის რაიონული საავადმყოფოს ექიმ ორდინატორს ლენა დვალიშვილს. მზის ამოსვლისთანავე ელიან მას ავადმყოფები. და ისიც... გამოჩნდება მხიარული, მშვენიერი, ყველას მოიკითხავს, ანუგეშებს.

შესცქერიან და ამბობენ:

— რა ქალია!

— მარტო მისი ყურადღება მოგვარჩენს!

— რა ენა აქვს, რა ღიმილი!

— მე ლექსი დავწერე ლენა ექიმზე, — მორცხვად იღიმება მთიელი დარიკო.

— ლენა ექიმო, დარიკოს ლექსი დაუწერია თქვენზე.

— მე რა სალექსე მნახე, ჩემო დარეჯან? — ეღიმება ლენას.

...იმ დღეს წერილი მიიღო. იწერებოდა მის მიერ გადარჩენილი ბავშვის დედა: „ჩემი მაია ახლა უკვე დიდი ქალია. ექვსი წლის იყო მაშინ, სასწრაფოთი რომ მოიყვანეს საავადმყოფოში"... იმ დღეს ლენა მორიგეობდა, თამაშობისას დაეცაო... ტვინის მძიმე შერყევა — ასეთი იყო სასწრაფოს ექიმის დიაგნოზი.

მწვანეზე დაცემა არ გამოიწვევდა ასეთ შედეგს. რომელიმე საძილე წამლით მოწამვლასთან ხომ არა გვაქვს საქმე? სულ სხვანაირი გუგები აქვს. მე ასე ვფიქრობ. მითუმეტეს, სასწრაფო დახმარების ექიმმა ნაპოვნი აბი მოიტანა... დრო არ ითმენდა. საჭირო იყო სასწრაფო გადაწყვეტილება — სულ ცოტაც და სიცოცხლე გაქრებოდა.

— მიშველე, ექიმო, ერთი მყავს, — მოეხვია მუხლებზე დედა. თქვენც ხომ დედა ხართ?

ლენა დარწმუნდა, რომ მოწამვლასთან ჰქონდა საქმე, არ დაელოდა პასუხს ლაბორატორიიდან, შეუდგა ზონდით კუჭის ამორეცხვას. ბავშვს არ ჰქონდა მაჯა, სუნთქვაც იკარგებოდა, სხეულის ტემპერატურა 35 გრადუსამდე იყო დაცემული, ექიმმა მიმართა ყველა საშუალებას ნორჩი სიცოცხლის გადასარჩენად, მაჯა ხან მოდიოდა, ხან ქრებოდა, სუნთქვა ხან აღსდგებოდა, ხან იკარგებოდა... ექვსი საათის დაძაბული შრომის შემდეგ აღდგა მაჯა, მოწესრიგდა სუთქვა, სხეულის ტემპერატურა ნორმას დაუბრუნდა და ბავშვს დაეძინა.

ვინ მოსთვლის, რამდენი მაიკო გამოაჯანმრთელა ექიმმა. ახსენდება თითოეული მათგანი, განსაკუთრებით პირველი პაციენტი. შვიდი თვის ბავშვი ავად იყო ტოქსიკური დიზენტერიით, იწონიდა 2,5 კგ. გადარჩენის იმედი თითქმის აღარ იყო, ლენა ექიმის მცდელობამ, სწორმა კვებამ ბავშვი გადაარჩინა. ეხლა იგი 31 წლისაა, ცოლშვილიანია.

აგონდება ლენას ყოველივე და გული სიხარულით ევსება. ვერ იძინებს. ახლა აღარ შეუძლია არ წეროს, კალამს იღებს და ქაღალდზე გადააქვს გულის ნადები. რამდენი ლექსი აქვს დაწერილი ერთი ამოსუნთქვით, ბევრს დახვეწა სჭირდება.

ვკითხულობ მის ლექსებს და მგონია, ავტორი მესაუბრება თავისი მელოდიური, გულში ჩამწვდომი ხმით. ავტორს გვანან ლექსები, მასავით სიხარულს, სიკეთეს აფრქვევენ...

„გულს უნდა სამშობლოს დიდება,
დიდება მას, მისთვის ვინც კვდება!
გულს უნდა სიკეთს ვთესავდე,
მშვიდობის იარაღს ვლესავდე.
გულს უნდა ცა მშვიდი, ნათელი,
ბევრი და ჯანმრთელი ქართველი.
აკვნები, აკვნები მრავალი,
ეს არის მიზანი მთავარი!"

პოეტი უმღერის სამშობლოს, [illegible]ლავს, ქართულ ანბანს, წერს პატარებისათვისაც.

„ელას მამა ხესა სჭრის.
ნაფოტები ცვივა,
ნეტავ, როცა ხეს სჭრიან, გული
არა სტკივა?
ცრემლები, რომ ჩამოსდის,
ფოთლები რომ სცვივა?
თურმე ხესაც გული აქვს, თურმე
ხესაც სტკივა..."

ლენა დვალიშვილი სამი წლის უკან გავიცანი. ჩემმა შვილიშვილმა ყელი მტკივაო, — მითხრა. გვიანი იყო. შემეშინდა ავადმყოფობის და მაინც გავაქციე ლენასთან, ზარი დავრეკე, ექიმის მეუღლემ გამოიხედა, ძინავსო, „არა, არ წავიდნენ, ახლავე ავდგები, შემოიყვანე" — გავიგონე ქალის ხმა და მივბრუნდი.

ორიოდე წუთში შემოვიდა თავისი უბადლო ღიმილით, მოეფერა ბავშვს. სანამ არ გააცინა, არ მოეშვა. „აი, თურმე, რატომ აქებენ, მძინარე გავაღვიძე და წარბიც არ შეიხარა.

— ახლა კი მითხარი, რა გაწუხებს, ჩემო ლამაზო?

— არაფერი.

— არაფერი არ გტკივა?

— მტკიოდა აქა, ყელზე დაიდო, ახლა აღარ მტკივა.

— აბა,მაჩვენე, სად გტკიოდა?

— მაპატიეთ, ქალბატონო, შემეშინდა, მე მეგონა...

— როგორ გეკადრებათ, — შემაწყვეტინა სიტყვა, — სხვა რა მავალია.

— რა კარგი ექიმი იყო, — სახე ებადრება პატარას, რომ გათენდება კიდევ მიმიყვანე.

ვამაყობთ თელაველები, რომ კეთილშობილმა, მშვენიერმა თბილისელმა ასულმა ჩვენს ქალაქში დაიდო ბინა, შექმნა სანიმუშო ოჯახი, არის კარგი მეუღლე, დედა: ორი ვაჟკაცი ისე გაზარდა, ხმამაღალი სიტყვა არ უთქვამს. უფროსი დედის კვალს მიჰყვა, დედასავით უანგარო, ყველას მოყვარული, ყველასათვის საყვარელი ექიმია. უმცროსმა მამის გზა აირჩია, ინჟინერია.

დილით, ქუჩას რომ ხალხი შემოემატება, ლენა ექიმიც გამოჩნდება, საქმიანად მოდის, სახეზე სიკეთე დასთამაშებს.

გულო გიორგანაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოჯახური ურთიერთობის ნიუანსები

საოჯახო ცხოვრების გამოცდილებიდან ცნობილია, რომ ოჯახის შექმნის დასაწყისში, ცოლ-ქმრის დადებითი და უარყოფითი ემოციების ბალანსში დადებითი სჭარბობს. მაგრამ გადის დრო. ყოველივე მნიშვნელოვანი, რაც სიყვარულს გამოავლენდა, თითქოს უკანა პლანზე გადადის, წინ იწევს რაღაც ყოველდღიური წვრილმანი, უარყოფითი ემოციები იზრდება, რის წარმოშობაშიც გარკვეული წილი ქალისა და მამაკაცის, როგორც მეოჯახეთა მიერ თავიანთი როლების არასწორ გაგებასა და საოჯახო შრომის არასწორ ორგანიზაციაზე მოდის.

სამსჯავროზე გამოგვაქვს ერთი ახალგაზრდა ცოლ-ქმრის ოჯახური უსიამოვნება, რომლის „განსჯაც" მოხდა ერთ ოჯახში.

— არ მეგონა, თუ ვახტანგი ქალის გულისაკენ მიმავალ გზაზე წინ ჭამა-სმას დააყენებდა, — თქვა თამარმა.

— ჰო, გამოეპასუხა ზეინაბი. — გამოდის, ცოლ-ქმრის ურთიერთობაში სამზარეულოს, კულინარიას, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონია... საწყალი ნათელა, თავიდანვე კი ვფიქრობდი, როგორ გაჰყვა-მეთქი...

— ვახტანგი ნამდვილი ქართველი ვაჟკაცი გახლავთ, — ზევით არ აუხედავს, — მშვიდად თქვა თამაზმა, პაიკი ხელში შეათამაშა და მოფიქრებულ უჯრაზე დადო.

— მარტო ჭამა-სმაზე ზრუნვა ცხოველების საქმეა, ადამიანს სულიერი საზრდო სჭირდება! — არ ცხრებოდა ზეინაბი.

— ჩემო კარგებო, გავიწყდებათ, რომ ქალი ქალია. არ არსებობენ ცუდი მამაკაცები, არსებობენ მხოლოდ უჭკუო ცოლებიო, — ამბობს ფრანგული... არა, არა, მაპატიეთ, მგონი ინგლისური ანდაზა. ნოდარს ეგონა ანდაზის მოშველიებით უშველიდა საქმეს და გამარჯვებულის იერით გაიარ-გამოიარა.

— მაშ რაღას ნიშნავს ემანსიპაცია, თანასწორობა, იქნებ მხოლოდ ქაღალდზე დაწერილს, — მიეშველა თინა ქალებს.

— აბა, სულხან-საბას მოუსმინეთ, — ჩაერთო კამათში თენგიზი და ლექსიკონი გადაშალა. — „ოჯახი" — „კერა", „სახლი", „სახლეული". კერა — მუგუზლის თავის სადები. ე. ი. კერა, რის კერაა თუ მუგუზალი ჩაქრა და ჩაინავლა. კერას ქალი უნდა პატრონობდეს, რომ მუგუზალი არ ჩაქრეს, საჭმელი მზადდებოდეს და სითბო არ მოაკლდეს ოჯახს. გაიგეთ? ქალი „კერაა, კერა!

— ვის უნდა ახლა შენი მაღალფარდოვნება, — შეელაპარაკა ცოლი თენგიზს.

ნათელამ სიგარეტი საფერფლეზე დადო, წამოდგა და თენგიზის ცოლს მიუახლოვდა: — ციცინო, გენაცვალე, ნუ გეწყინება, შენს ქმარს არქაიზმი და მეჩშანობა შეპარვია.

— სახლში კერა ჩამქრალი უნდა იყოს და პაპიროსი გაჩაღებული? რად გვინდა ასეთი მოდა, გაუმარჯოს არქაიზმს.

— გაუმარჯოს არქაიზმს! — ერთხმად შესძახეს თენგიზს მამაკაცებმა.

— ბიჭო, არ ამომივიდა ყელში ეს ერბოკვერცხი, ყავა და სამკითხაოდ გამზადებული გადაბრუნებული ჭიქა! დიდი რამეა ტყუილი წვნიანის გაკეთება? გაგულისებულმა თენგიზმა ახლა ცოლს მიმართა: რამდენს მიჩიჩინებდი, თამრიკო და გია კინოში წავიდნენ... ლევანი და მანანა სამოგზაუროდო. ჩვენც თითქმის ყველაფრისთვის ვიცლით, სახლში კი წვნიანს არ ვაკეთებთ. მერე გვიკვირს, რამ გაგვიჩინა კუჭზე წყლული?

დიასახლისმა უხერხულობა იგრძნო, და საჩქაროდ ყველანი ჩაიზე მიიწვია.

ჩემი სათქმელი იქ ვერ ვთქვი, სიმართლის თქმას ქალები ღალატად ჩამითვლიდნენ. იმ კამათმა კი საფიქრალი გამიჩინა.

ადამიანს, როგორც ბიოლოგიურ არსებას, აქვს სასიცოცხლო მოთხოვნილებები. უამისოდ იგი დაიღუპებოდა. ამიტომ შეიქმნა ოდითგან ლეგენდები და მითები. იმიტომ მოსტაცა პრომეთემ ზევსს ცეცხლი, რომ უბრალო ადამიანებს ამ ცეცხლზე საჭმელი მოემზადებინათ, საჭმელი, რომელიც ღვთიურ საკვებზე უფრო საჭირო და კარგი იყო.

ლხინისა და ზეიმების, გემრიელი საჭმელების, სტუმრის დახვედრის ტრადიციები იმიტომ კი არ დაამკვიდრა ზოგადსაკაცობრიო კულტურამ, რომ ადამიანებს მხოლოდ ერთად ჭამა-სმა უნდოდათ. ეს ზეიმები ილებდა ადამიანთა შორის ურთიერთპატივისცემისა და სიყვარულის თავისებურ ფორმას. ოჯახში საუზმე, სადილი და ვახშამი ოჯახის წევრთა ურთიერთობის, კომუნიკაციის თავისებური ფორმაა. იგი მიგვანიშნებს ოჯახის წევრთა შორის თანხმობასა და სოლიდარობაზე, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ოჯახის ატმოსფეროსათვის. საუზმე, სადილი და ვახშამი ოჯახის ცხოვრებაში ზნეობრივი სტიმულატორის როლს ასრულებს და ქალის ემანსიპაციის გზაზე დაბრკოლებას როდი ქმნის, პირიქით, ქალს ზნეობის ცენტრად, მის გულად და სულად აქცევს. შესაძლებელია იყო სანიმუშო მასწავლებელი, ექიმი, წარმოების მოწინავე, მეცნიერი, მაგრამ ამავე დროს იყო საუკეთესო დიასახლისი შენი ოჯახისა.

ძნელია? გეთანხმებით, ძალიან ძნელია.

რას აკეთებენ მამაკაცები ამ სირთულის დასაძლევად? — ერთმა ქალმა იმ საღამოს ასეთი კითხვაც დასვა: — რა იცვლება მამაკაცის ცხოვრებაში ბავშვის გაჩენის შემდეგ?

თენგიზმა აღარ დააცადა სათქმელი: — ის, რომ საერთოდ აღარ გვაქცევთ ყურადღებას!

— კი მაგრამ, როგორ? ჩვილი ბავშვით დაკავებული ქალი როგორღა მოგაქცევთ უწინდებურად ყურადღებას? იქნებ ეს სითბო, ბავშვის მოვლასა და აღზრდაში მოხმარებით, თქვენც, მამაკაცებმაც შეუნარჩუნოთ ქალებს. — დინჯად თქვა ვენერამ და განაგრძო: — თუ გიყვართ ცოლი და ამ ქვეყნად მოვლენილი პატარა უმწეო შვილი, რას აკეთებთ მათთვის? ასეთ კითხვებზე გაქვთ პასუხი მამაკაცებს?..

იმ კამათის დროს ქალებმა ყველაფერი თქვეს თავის დასაცავად. მართლაც, რამხელა შინაარსს შეიცავს ცნება — ემანსიპირებული ქალი. ქალი წარმოებაში დასაქმებული, საზოგადოების აქტიური წევრი, ამავე დროს, ქალი — დედა, ოჯახის დიასახლისი. როგორ შეათავსოს ქალმა ეს ურთულესი როლები? ის კი აღარ თქვეს, როგორი გამოსავალი იპოვნა ზოგიერთმა ქალმა... „რა მოხდა, თუ დიასახლისის როლს ისე ვერ შეასრულებ, როგორც საჭიროა... რა მოხდა თუ ისიც მამაკაცივით მოიქცევა"...

წუწუნი, რომ საოჯახო საქმე ძნელია, ვერას გვიშველის, პირიქით საქმეს გაგვიფუჭებს. არც ხმის ამაღლება გვიშველის რამეს — აქაოდა, ემანსიპირებული ქალი ვარო.

საამაყო უდავოდ გვაქვს, — ახდა დიდი ილიას ოცნება: „დედათა საქმე თავისას გაიტანს და ეს მთელი ნახევარი სქესი კაცობრიობისა მოწვეულ იქნება წუთისოფლის სუფრაზედ თავისის კუთვნილის ადგილის დასაჭერად".

ერთი გამოსავალი მაინც არსებობს: თუ მოვიხმართ ყველაზე მოქმედ და ყველაზე ბასრ იარაღს — ქალურ სინაზეს, მის წინაშე მოწიწებით თავს დახრიან ჩვენი ქმრები და შვილები. მაშინ გახდება სადილისა და ვახშმის მომზადება ყველას საზრუნავი, მაშინ წავა ქმარი შვილთან ერთად ბაზარში, მაშინ დაატრიალებს 10 წლის ბიჭუნა ხორცსაკეპ მანქანას, მაშინ იქცევა იატაკის მოწმენდა-მოპრიალება ფიზიკურ ვარჯიშად, მაშინ დაგვრჩება მეტი თავისუფალი დრო და მაშინ მოიქსოვება ჩვენი ოჯახი მტკიცე ძაფებით. ამ დროს გამოიჭედება ოჯახის წევრთა შორის მეგობრობა და პატივისცემა სხვისი შრომისა, და მაშინ, როცა ჩვენი შვილები ცხოვრების გზას დაადგებიან, იტყვიან: კარგი ოჯახის შექმნაზე მხოლოდ კი არ გვიფიქრია, შეგვიქმნია კიდეც და მრავალ დაბრკოლებასთან ერთად სიტკბოც გვიგემნიაო...

როზა ირემაშვილი,
მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ფსიქოლოგიის კათედრის დოცენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



18.723

ჩვენ გვჭირდება ურთიერთგაგება, მგონია, მეტი ნატივი უნდა ვცეთ ერთმანეთს, შევეცადოთ უკეთ ჩავწვდეთ ჩვენი სახელმწიფოების ისტორიასაც.

მ. ს. გორბაჩოვი

# მეგობრობამ არ იცის მანძილი



ჰილდა პოლი და მისი მეუღლე სტუმრად ვენერა ურუშაძესთან

ამერიკაში იმყოფებოდა საბჭოთა დელეგაცია, მისი ერთერთი წევრი ჟუჟუნა ნიჟარაძე-მაჭავარიანი შეხვდა ამერიკელ მოქალაქეს, ჰილდა პოლს, რომელსაც ბავშვობისდროინდელი მეგობრობა აკავშირებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტთან ვენერა ურუშაძესთან. ჟუჟუნა ნიჟარაძემ ისარგებლა შემთხვევით და ჩაიწერა ჰილდა პოლის ნაამბობი ამ მეგობრობის შესახებ.

ჩემს კოლეჯში სწავლობდა ქერა, ცისფერთვალება, არც თუ ისე მაღალი გოგონა, რომელსაც ვენერა ერქვა, თავისი ნიჭით და მონდომებით იგი გამოირჩეოდა ჯგუფში. მე და ვენერა ცეკვაზე ერთად დავდიოდით. ის სიმღერასაც სწავლობდა.

მას სასიამოვნო ხმა ჰქონდა. ამ მხრივ მე დაჩაგრული ვიყავი. მახსოვს მისი რამდენიმე ლექსიც დაიბეჭდა. დაბეჭდეს აგრეთვე საგამოცდო თემების კონკურსში გამარჯვებული მისი თემა. ვენერა ოქროს მედლით დააჯილდოვეს. ბევრს უნდოდა მასთან მეგობრობა, მაგრამ მან რატომღაც მე ამირჩია და ჩვენც განუყრელები ვიყავით. ის დღე არ დამავიწყდება, ვენერა მოვიდა ჩვენთან. ხელში ჩიტის გალია ეჭირა, გამომიწოდა და მითხრა: ჩვენ სამშობლოში უნდა დავბრუნდეთ, ჩემს სამახსოვროდ ამ ბულბულს გიტოვებო. ვენერა, როცა მღეროდა, ვეუბნებოდი ხოლმე, რა ბულბულის ხმა გაქვს-მეთქი. მივხვდი, რომ ჩიტის სიმღერას ვენერა უნდა გაეხსენებინა ჩემთვის. დიდი მადლობა გადავუხადე. მძიმე იყო ჩვენი განშორება, მაგრამ დავპირდი, აუცილებლად გეწვევი და შენს სამშობლოს მეც ვნახავ მეთქი.

ჩიტს ძალიან კარგად ვუვლიდი, ცივ ნიავს არ ვაკარებდი. ყველამ იცოდა, რომ ვენერას დატოვებული იყო... გავიდა დრო. ერთ მშვენიერ დღეს გადავწყვიტე ვენერას სამშობლოში გამგზავრება. მშობლებმაც უარი არ მითხრეს. ვიცოდი, რომ ვენერას სამშობლო ჯორჯიას შტატი იყო და ჩავედი კიდეც. პირველი, ვისაც ვკითხე როგორ შეიძლება მოვძებნო ჩემი მეგობარი, რომელიც აქ, ჯორჯიას შტატში, თავის სამშობლოში გადმოვიდა საცხოვრებლად-მეთქი, აღმოჩნდა უკრაინელი ახალგაზრდა, სახელად დევიდი. ბევრი ვეძებეთ ერთად, მაგრამ ვერავითარ კვალს ვერ მივაგენით. ისე, როგორც დღეს ბევრმა ამერიკელმა არ იცის სად მდებარეობს კავკასია, მაშინაც ასე იყო. დევიდმა კავკასია რომ გაიგო, მითხრა, აქ ტყუილად ვეძებთ, ეს საბჭოთა კავშირშია, შორს, ოკეანეს გაღმაო. თუ ცოლად გამომყვები, მე მოგაძებნინებ მაგ შენს მეგობარსო... მეც თანხმობა მივეცი. იგი სიმპატიური ახალგაზრდა იყო. ჩემი თხოვნის შესრულებას ძალზე დიდი დრო დასჭირდა. წითელი ჯვრის დახმარებით დავაზუსტე ვენერას მისამართი და მე და დევიდი საქართველოსკენ გამოვემგზავრეთ. 1937 წელს ორჯონიკიძემდე მოვაღწიეთ. მაგრამ არეულობების გამო ჩვენი მგზავრობა აქ შეწყდა და იძულებული გავხდით უკან დავბრუნებულიყავით. ძალიან გული მწყდებოდა, ამხელა გზა გავიარეთ და მეგობრები ვერ შევხვდით ერთმანეთს. არა უშავს, მანუგეშებდა ჩემი მეუღლე, რადგან ჩვენ ვენერამ დაგვაკავშირა, ისე არ მოვკვდები, რომ ეს სურვილი არ შეგისრულოო.

წელი წელს მისდევდა, მეორე მსოფლიო ომი, მძიმე წლები. აი ომიც გათავდა საბჭოთა ხალხის გამარჯვებით. ახლა კი იმედი მომეცა, რომ ნამდვილად ვნახავდი ვენერას.

1977 წელს ინგლისიდან ბიძაშვილის წერილი მივიღე: საქართველოში მივემგზავრები სიმპოზიუმზე და ხომ არ გინდა შენი ვენერა მოვინახულოო. მე მისამართი მივეცი. „ვარდისუბნის ქუჩა, № 2. ბარამიძეურუშაძე. (იგი ურუშაძეზე იყო გათხოვილი). ჩემმა ბიძაშვილმაც თბილისში ჩასვლისთანავე მიაკითხა და გახარებული დარჩა, ისე თბილად და სტუმართმოყვრულად მიიღეს იგი. თან ჩემი მისამართიც გადასცა.

საელჩოსთან შეთანხმებით გამომიგზავნეს ვიზა და მე და დევიდი კვლავ ვესტუმრეთ საბჭოთა კავშირს. ამჯერად ვენერას ვაჟიშვილი მურმანი მოსკოვის სადგურში დაგვხვდა. შემდეგ არაფერი გაგვჭირვებია. წასვლის წინ ცოტა არ იყოს გვაშინებდნენ, სად მიდიხართ, ტყვია არ მოგხვდეთ, ან არ დაგიჭირონო. ვიცოდი, რომ ყველაფერი ეს მოჭორილი იყო, მითუმეტეს, რომ პოლიტიკასთან ცოტა მწყრალად ვარ.

ამდენი წლის შემდეგ ჩვენ უკვე ორივენი ბებიები ვიყავით. ჩვენი შეხვედრა რაღაც საოცარი იყო. ის სიყვარული არსად არ გამქრალიყო, მერე, როცა კარგად გავიცანი და შევისწავლე საქართველო — მივხვდი, რატომ იყო ვენერა ასეთი სხვანაირი: თბილი, ნიჭიერი, ადამიანური, გამგები, მოსიყვარულე.

ჯერ კიდევ კოლეჯში სწავლისას იმდენი სითბო და სიყვარული დატოვა მან ჩემში, რომ იგი აქამდე მომყვა. მათ ოჯახში ყოველთვის წესრიგი, ერთმანეთის პატივისცემა იგრძნობოდა, ბიძია გიორგი და დეიდა ნატო, პატარა დევიდი, როცა კი მივიდოდით სტუმრად, არ იცოდნენ რითი და როგორ ესიამოვნებინათ. მათთან ისეთი ურთიერთობა მქონდა, რაც ამერიკელებისთვის ცოტა უცხოც კია. ამიტომ ყოველთვის მიხაროდა ამ ლამაზ ოჯახში მისვლა და მათთან მეგობრობა.

მათი სხვა ენაზე ლაპარაკიც რაღაც ჯადოსნურად მოქმედებდა. მათი ქართული, ევროპული ენებისაგან განსხვავებული, თი-

თქოს ბერძნულ ენას მაგონებდა, რაღაც მითიურს.

როცა ვენერას ოჯახში მოვხვდი, ვიგრძენი, რომ ის სითბო, ოჯახური იდილია შემთხვევითი არ იყო ოკეანეს გაღმა, ამერიკაში. ეს ქართველების დამახასიათებელი გახლდათ: ოჯახის უფროსების, მშობლების პატივისცემა, ერთმანეთის სიყვარული, უზომოდ ბევრი მეგობრები, სტუმართმოყვარეობა, დიდი სითბოსა და ენერგიის გაცემა სტუმრისადმი.

ჩვენი მოგზაურობა საქართველოში დაიგეგმა უცხოეთთან ურთიერთობის საზოგადოებაში, საიდანაც მომაგრებული გვყავდა თარჯიმანი, მშვენიერი ქალბატონი — ლეილა.

სადაც კი მივდიოდით, ზღაპრულ შეხვედრებს გვიმართავდნენ. გავემგზავრეთ საქართველოს უძველეს ქალაქ მცხეთაში. კვირა დღე იყო. ეკლესიების, მუზეუმისა და მამულაშვილის არაჩვეულებრივი ბაღის დათვალიერების შემდეგ შევიარეთ ბაზარში. იქ გავიცანი ქ-ი ჟუჟუნა. ვენერამ გამაცნო, ეს ჩემი შვილობილიაო. ჟუჟუნამ გვთხოვა აქვე მცხეთაში ჩემი მშობლები ცხოვრობენ და მობრძანდით სტუმრადო. რაღაც სანოვაგე იყიდა, სახლში დატოვა. ჩვენ კი საგურამოში გავემგზავრეთ, სადაც ქართველების საყვარელი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე ცხოვრობდა.

მე უკვე წაკითხული მქონდა ვენერასეული თარგმანები ინგლისურად — შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ და „ანთოლოგია“, კერძოდ, ილიას „ელეგია“, „გაზაფხული“, „ბაზალეთის ტბა“ და სხვ.

სახლ-მუზეუმის დათვალიერების შემდეგ ყველანი ერთად ვეწვიეთ ჟუჟუნას მშობლებს, გამაოცა არაჩვეულებრივ ბაღნარში ლამაზმა ქართულმა სახლმა, ეზოში გაშლილმა სუფრამ. გასაოცარი ხალხია ქართველები, — ვფიქრე ჩემთვის, — ასე უცბად ასეთი სუფრის გაშლა მე მგონი ამერიკელ მილიონერსაც კი გაუჭირდება, ცხელ-ცხელი ხაჭაპურები, ჭადი, შემწვარი თუ მოხარშული, არაგვზე დაჭერილი ცოცხალი. ყურძნის ხეივანში ყოფნა ძალზე ეგზოტიკური იყო. თამადად ოჯახის უფროსი, ბატონი თენგიზი დადგა. სასიამოვნო შესახედაობის, დარბაისლური იერის მასპინძელი არაჩვეულებრივ სადღეგრძელოებს ამბობდა. ოჯახის დიასახლისმა ქ-ნმა ნინომ სიამაყით აღნიშნა, რომ წელს ოქროს ქორწილი აღვნიშნეთო. ვიჯექი და ვფიქრობდი, თითქოს ამ ოჯახს დიდი ხანია ვიცნობდი, თითქოს ჩემი ახლობლები იყვნენ. როიალზე მურმანმა საცეკვაო დაუკრა, მე და ვენერამ გავიხსენეთ ახალგაზრდობა, ბატონი თენგიზი მოხდენილად გვაცეკვებდა. მე ცეკვას ყოველთვის დიდ დროს ვუთმობდი, ამიტომაც ვეცადე მთელი მონდომებით მეცეკვა. ძალიან გამიჭირდა ამ ოჯახთან გამოთხოვება. ვენერას ვთხოვე ქართული ცეკვა მინდა ვისწავლო და თუ შეიძლება ვინმე სპეციალისტი გამაცანი-მეთქი. ჟუჟუნამ ამ საქმის ორგანიზაცია იკისრა, მეორე დღეს ფილარმონიას ვეწვიეთ. ცარიელ დარბაზში ძალზე სიმპატიური, არც თუ ისე ახალგაზრდა მამაკაცი შემოგვეგება. მოხდენილი, სასიამოვნო სახის მამაკაცი ხელზე მეამბორა და მითხრა, ჯანო ბაგრატიონი გახლავართო. ამიხსნეს — ჯანო სახელია, ბაგრატიონი კი გვარიო, და თან დაამატეს — ქართველი მეფის, ბაგრატიონის შტოს ეკუთვნის, ახლა კი ნამდვილად ცეკვის მეფეაო.

მურმანი აქაც ინსტრუმენტს მიუჯდა და შეიკრა ანსამბლი — ჯანო, ვენერა, მე და ჟუჟუნა. მე სერიოზულად ვითვისებდი ყველა ილეთს, ჯანოც ძალზე ენერგიულად მასწავლიდა. ვენერა და ჟუჟუნა კი სულ იცინოდნენ და ხუმრობდნენ. ბოლოს, მადლობა გადავუხადე ბატონ ჯანოს და პირობა მივეცი ამერიკაში ამ ცეკვებს სხვასაც ვასწავლიდი. ბევრი სუვენირი წავიღე საქართველოდან, მათ შორის ჩონგური და ბალალაიკა.

განშორებისას ვენერას პირობა ჩამოვართვი, რომ ახლა თვითონ მწვეოდა ამერიკაში. მოსკოვში რამდენიმე დღე დავყავით და დავბრუნდით ჩვენს ქვეყანაში. ჩავედით თუ არა, მოვიწვიე ჩემი ახლობლები და შთაბეჭდილებები გავუზიარე. ძალიან მალე საქართველოდან წერილებთან ერთად ამანათიც მივიღე, „ქართული კაბა“. მეგობარმა ჟუჟუნამ თავისი დანაპირები შეასრულა. ბინის ერთ ოთახში მუზეუმი მოვაწყე. საქართველოს მოსაგონარი რაც მქონდა, ლამაზად გამოვფინე და დავიწყე ქართული ცეკვის სწავლება. განცხადებას ბევრი ახალგაზრდა გამოეხმაურა. ყველას ძალიან მოხწონდა ნარნარი ქართული ცეკვა, თითქოს ქალური და ამავე დროს ძალზე ვაჟკაცური, პირველად ძალიან უჭირდათ, მაგრამ რამდენიმე გაკვეთილის შემდეგ ადვილად ითვისებდნენ. ასე რომ, კონცერტებიც ჩავატარეთ.

ერთ დღეს მე წავიკითხე განცხადება, ამა და ამ რესტორანში ბალალაიკაზე დაკვრის გაკვეთილებს იძლევიანო.

მეც გავემართე თავისებურ რესტორანში, სადაც ძალზე სპეციფიკური სუნი იდგა. იმ წუთს ქართული საჭმელები გამახსენდა, რამდენიმე გაკვეთილის შემდეგ ვთხოვე ჩემს მასწავლებელს ერთ სიმღერას გიმღერებთ და იქნებ ააწყოთ-მეთქი, ვიმღერე „სულიკო“ და ისიც ამყვა.

უცებ კარი გაიღო და თეთრი წინსაფრით საკმაოდ სოლიდური აღნაგობის და ასაკის მამაკაცი შემოვიდა. თვალცრემლიანმა ჩვენთან ერთად დაიწყო ... სიმღერა, მაგრამ ქართულად ... შემდეგ გამოირკვა, რომ თურმე ის სურნელებაც მისი შეზავებული საჭმელებისგან ტრიალებდა. საქართველოდან ჩამოსული რაჭველი აღმოჩნდა. მთხოვა მომიყევით, რა ნახეთ საქართველოშიო. მეც ყველაფერი დაწვრილებით ვუამბე. ასეთი საღამოები რამდენჯერმე გამეორდა, რადგან რამდენი ქართველიც შეუღებდა მათ კარს, მე მიწვევდნენ. მეც ვიძენდი ახალ ქართველ მეგობრებს და სიამაყით ვყვებოდი ამ ლამაზ, ზღაპრულ ქვეყანაზე. რამდენიმე წლის შემდეგ მურმანი გვეწვია, შემდეგ ვენერა ჩამოვიდა ამერიკაში. ამერიკის და საბჭოთა კავშირის ურთიერთობაში ერთი პატარა აგური ხომ მე და ვენერამაც მივიტანეთ. რაც შეიძლება მეტმა ადამიანებმა უნდა იმეგობრონ ასე და დარწმუნებული ვარ, რომ მშვიდობა გაიმარჯვებს.

## კეთილი მომსახურება: თბილისი. აკაკი წერეთლის პროსპექტი. № 8

# გაჭირვების ტალკვესი

იქნებ ბევრმა ჩვენმა მკითხველმა არც იცის, რომ თბილისში არის დაწესებულება, სადაც შრომობენ ძალიან საჭირო ადამიანები. მათ შეუძლიათ შეუძლებელი — ერთმანეთს შეახვედრონ დიდი ხნის დაკარგული ადამიანები, გაახალისონ გულმოკლულები, გააბედნიერონ უბედურები. და ეს კეთილშობილი ადამიანები თითქოს, ერთგვარ ჩრდილში არიან, ბევრი-ს თვალს მოფარებულნი. შევიხედოთ რესპუბლიკურ სამისამართო ბიუროში და გავიგოთ რა ხდება იქ.



დედა-შვილი სარა და ირინე კიკაძეები

უჩვეულო წერილმა უმალ მიიპყრო ყურადღება: „თბილისი. გადაეცეს ჩემს ფრონტელ მეგობარს დადიანს“. კონვერტის მეორე მხარეზე ეწერა: „თუ ამ წერილს დღესვე გადასცემთ ადრესატს, იცოდეთ, თქვენ ადამიანის სიცოცხლეს გადაარჩენთ ლენინგრადში“.

ფოსტამტის მუშაკებმა სასწრაფოდ მიმართეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოს რესპუბლიკურ სამისამართო ბიუროს (წერეთლის პროსპექტზე, რვა ნომერში). ბიუროს უფროსმა—თადარიგის პოდპოლკოვნიკმა გიორგი ბარამიძემ უმალ იხმო თანამშრომლები. ოპერატიულად, წუთებში დაიძებნა მამაკაც დადიანის გვარზე ბარათები. სამამულო ომის მონაწილე ადრესატის ასაკიც განსაზღვრეს ვარაუდით. მერე იხმეს ფოსტალიონი და...

თბილისელმა ფრონტელმა მეგობარმა თბილისის ვაქცინებისა და შრატების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მუშაკთა დახმარებით მეორე დღესვე ჩაუტანა მეგობარს ქალიშვილისათვის დეფიციტური პრეპარატი. მეგობრობამ და სამისამართო ბიუროს მუშაკთა ობერატიულმა დახმარებამ იხსნა ადამიანის სიცოცხლე...

ვინ მოთვლის, რამდენ სიკეთს თესავენ ისინი ყოველდღე. ვის, რა ასაკის, რა პროფესიის წარმომადგენელს, სადაურს — შინაურსა თუ უცხოს, სტუმარს არ მიუმართავს მათთვის დასახმარებლად. მერე ვის არ უღიარებია მათი გულითადობა. პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა, სხვისი ჭირისა და სიხარულის გაზიარების, უმაღლესი ოპერატიულობის სანიმუშო უნარი.

— ჩვენს განკარგულებაშია რესპუბლიკის ყველა სრულწლოვანი მოქალაქის ჩაწერა-ამოწერის სამისამართო ბარათები, გარდა აჭარისა და აფხაზეთის მაცხოვრებლებისა. მოსახლეობის ზუსტი მიგრაციის აღრიცხვის მიზნით დიდ ქალაქებში: ქუთაისში, რუსთავში, ფოთში, გორში, ზუგდიდში, ცხინვალსა და საგრაში საქალაქო სამისამართო ბიუროებია შექმნილი. დანარჩენ რაიონებში მათს მოვალეობას ასრულებს შინაგან საქმეთა განყოფილებების საპასპორტო მაგიდები. რესპუბლიკის სამისამართო ბიუროს ცენტრი კი ჩვენთან გახლავთ, — გვეუბნება რესპუბლიკური სამისამართო ბიუროს უფროსი, თადარიგის პოდპოლკოვნიკი გიორგი ბარამიძე.

ვრცელ დარბაზში განლაგებულ 55 ელექტროკარტოტეკასთან, რომლებიც ოთხ მილიონამდე მოქალაქის სამისამართო ბარათს შეიცავს, მანდილოსნები ფუსფუსებენ. აქ ყოველდღიურად აღინუსხება რესპუბლიკაში მცხოვრები თითოეული მოქალაქის ჩაწერა-ამოწერის ცვლილებები. დღეში დასამუშავებელია რვა ათასამდე ბარათი, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მხრიდანაც ასორმოცდაათამდე წერილი და განცხადება შემოდის რეაგირებისათვის. ყოველივე ეს ორმოცდარვავე მუშაკისაგან — ბიუროს უფროსისა და მისი მოადგილით დაწყებული, უფროსი ინსპექტორის, უფროსი რეგისტრატორის დაძაბულ, გულისხმიერ შრომას, მაღალ პროფესიონალიზმსა და ოპერატიულობას მოითხოვს.

სამისამართო ბიუროს შესასვლელში, პატარა სარკმელთან სანდომიანი მანდილოსანი შემოგეგებებათ. თქვენ სპეციალურ ბარათზე აღნიშნავთ საჭირო ადამიანის გვარსა და სახელს (თუ მამის სახელიც იცით, მით უკეთესი). მერე მხოლოდ ხუთიოდე წუთს იცდით. იქით, სარკმლის მიღმა, ოთხი სექციიდან ერთ-ერთში ანბანის შესაბამისად ამა თუ იმ ელექტროდოლში იძებნება სათანადო ბარათი და იღებთ პასუხს. რეკორდსმენებიც გვყავთ — რეგისტრატორი ლუიზა მაჭარაძე, უფროსი ინსპექტორი ნანა ჩხაიძე, უფროსი რეგისტრატორი ქეთინო ქალიაშვილი და სხვები 10-15 წამში დაადგენენ თქვენთვის საჭირო პიროვნების ადგილსამყოფელს. ისინი ტექნიკასაც იშველიებენ. შარშან, აქ, რესპუბლიკურ სამისამართო ბიუროში, ერთ-ერთ პირველთაგანში დაიდგა ტელეტაიპი. ახლახანს კი დამონტაჟდა კავშირგაბმულობის აპარატურა „МИГ-1“ რომლის მეშვეობითაც ოთხ მილიონამდე კარტოთეკაში 10-25 წამში იძებნება ნებისმიერი მოქალაქის მისამართი.

რას გვეტყვის თავის კოლექტივზე გიორგი ბარამიძე, ქალთა საკრებულოს ხელმძღვანელი?

—მცოდნე, გამრჯე მუშაკები გვყავან. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში თოთხმეტმა თანამშრომელმა გაიმარჯვა. თავისი საქმის ოსტატები არიან უფროსი ინსპექტორები სარა კიკაძე, ლია დოლიძე, ინსპექტორები შურა ნიკოლაიშვილი, ნანა ჩხაიძე, უფროსი რეგისტრატორი ლუიზა შპორტი, რეგისტრატორები დარიკო შავლიაშვილი, თინა გიორგაძე, ციალა კაპანაძე... ბიუროს მრავალ მუშაკს გადაეცა შინაგან საქმეთა საკავშირო თუ რესპუბლიკური სამინისტროების საპატიო სიგელები და ფულადი ჯილდოები.

თბილად ლაპარაკობენ ბიუროს კონსულტანტზე, უფროს ინსპექტორზე, კომუნისტ სარა კიკაძეზე, რომელიც 1942 წლიდან მუშაობს რესპუბლიკურ სამისამართო ბიუროში. უბადლოდ ფლობსო სამუშაოს სპეციფიკას. ქალბატონმა სარამ მრავალი ახალგაზრდა გამოზარდა, უშურველად გადასცა გამოცდილება, დამოძღვრა თავად სამი შვილის დედამ. ქალიშვილი ირინეც მის გვერდით მუშაობს.

ქალბატონ სარას უმადლის იანა სახვაძე, კოლექტივში რომ სამიოდე წელია მოვიდა და კუთვნილი ადგილი დაიმკვიდრა. ახლა იგი მცოდნე, ალღოიან, ხელმარდ რეგისტრატორად ითვლება.

კვირა დღის გარდა, დილის 9 საათიდან ღამის 10 საათამდე ღიაა რესპუბლიკური სამისამართო ბიუროს კარი. ვინ მოთვლის, საგანგებო შემთხვევაში რამდენჯერ გატეხიათ ძილი ლუიზა შპორტსა თუ ლია დოლიძეს და გაჭირვებაში ადამიანებს მხარში ამოდგომიან, მათთვის სიხარული და სიკეთე მიუნიჭებიათ, მხსნელად მოვლენიან.

რა ფაქტების, რა სიტუაციების მოწმენი არ ყოფილან!

...ჰამბურგელი სტუმარი თავის უცნობ ქართველ ძმას ეძებდა. ამაღელვებელი იყო სამისამართო ბიუროში გულამოვარდნილი თბილისელი ძმის შემოჭრა, აქამდე რომ არ იცოდა გერმანელი ძმის არსებობა. ისინი გაჭრილი ვაშლივით ჰგავდნენ ერთმანეთს...

აქედან ჩანს რამდენი სიხარული მიანიჭეს მათ ადამიანებს.

ნათელა ქიმერიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პროფილაქტიკური აცრები

დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის საბჭოთა სისტემის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია ბავშვთა შორის პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება, რაც ძირითადად გამოიხატება პროფილაქტიკური აცრების შედეგად ინფექციური დაავადებებისაგან ბავშვის დაცვაში.

პროფილაქტიკურ აცრებს ბავშვთა ასაკში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ინფექციური დაავადებები სწორედ ამ ასაკში ხასიათდება მძიმე და თავისებური მიმდინარეობით.

პროფილაქტიკური, ანუ დამცველი აცრები წარმოადგენს იმ საშუალებას, რითაც ბავშვს დავიცავთ ინფექციურ დაავადებისაგან ორგანიზმში იმუნიტეტის გამომუშავების გზით.

ამჟამად ჩვენს ქვეყანაში შემოღებულია და ტარდება ტუბერკულოზის, დიფთერიის, ყივანახველის, ტეტანუსის, პოლიომიელიტის, წითელას, ყბაყურას საწინააღმდეგო აცრები, რაც სავალდებულოა ყველა ბავშვისთვის.

საბჭოთა კავშირში ტუბერკულოზის საწინააღმდეგო ღონისძიებათა შორის დიდი როლი ენიჭება სპეციფიკურ პროფილაქტიკას ბ. ც. ჟ. ვაქცინაციის დახმარებით. მეცნიერული დაკვირვების საფუძველზე დადგინდა, რომ ბ. ც. ჟ. ორგანიზმისათვის სრულიად უვნებელია და წარმოადგენს ტუბერკულოზისაგან ადამიანის დაცვის ეფექტურ საშუალებას. ტუბერკულოზის აცრის შემოღების შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა ტუბერკულოზით ავადობა. დაავადების მძიმე შემთხვევები და ცუდი გამოსავალი. ტუბერკულოზის საწინააღმდეგო პირველი აცრა — ბ. ც. ჟ. -ით ვაქცინაცია სწარმოებს ვაქცინის კანშიგნით შეყვანით, რომელიც უკეთდება დაბადებიდან მე-4-7 დღეზე ყველა ჯანმრთელ ახალშობილს, როგორც სამშობიარო დაწესებულებაში, ასევე ბინაზე დაბადებულს, თუ უკუჩვენება არ არის. ბავშვები, რომლებსაც ცხოვრების პირველ დღეებში არ გაუკეთდათ ვაქცინა ამა თუ იმ მიზეზით, იგი უნდა ჩაუტარდეთ პირველ 2-თვის განმავლობაში პოლიკლინიკაში ან განყოფილებაში წინასწარი ტუბერკულოზის სინჯის დადგენის გარეშე.

ბ. ც. ჟ.-ის განმეორებითი აცრა ანუ რევაქცინაცია ტარდება 7 წლის ასაკში (პირველ კლასში), 11-12 წლის (მე-5 კლასში) და 16-17 წლის (მე-10 კლასში). რევაქცინაცია უტარდებათ კლინიკურად ჯანმრთელ პირებს, რომელთაც მანტუს რეაქცია აქვთ უარყოფითი.

პოლიომიელიტი, ანუ ბავშვთა ეპიდემიური დამბლა საკმაოდ კონტაგიოზური მწვავე ინფექციური სნეულება, რომლითაც უმეტესად ავადდებიან ჩვილი ასაკის ბავშვები. იგი ბავშვთა ინვალიდობის ყველაზე გავრცელებულ მიზეზს წარმოადგენს. პოლიომიელიტის საწინააღმდეგო მასიური აცრების ჩატარება საბჭოთა კავშირში დაიწყო 1957 წლიდან. პოლიომიელიტის პირველი ვაქცინაცია ბავშვებს უტარდებათ 3 თვის ასაკში, სპეციალურად დამზადებული თხიერი ვაქცინის საშუალებით. ვაქცინაცია ტარდება სამჯერადად 1,5 თვის ინტერვალით. პირველი ორი რევაქცინაცია ტარდება ორჯერადად 1-2 წლის და 2-3 წლის ასაკში 1,5 თვის ინტერვალით. შემდეგ ასაკში ტარდება მესამე-მეოთხე რევაქცინაცია ერთჯერადად 7-8 წლის და 15-16 წლის ასაკში. პოლიომიელიტის აცრა ტარდება დიფთერიის, ყივანახველის და ტეტანუსის საწინააღმდეგო აცრასთან ერთდროულად ერთსა და იმავე დღეს.

დიფთერია, ანუ ხუნაგი ბავშვთა ასაკის ერთ-ერთ მძიმე დაავადებას წარმოადგენს, რომელიც არცთუ ისე დიდი ხნის წინათ თავზარს სცემდა ბავშვის მშობელს. ამ დაავადებას ბევრი ბავშვის სიცოცხლე მიჰქონდა. დიფთერია-ყივანახველა-ტეტანუსს ვამბობთ იმიტომ, რომ ვაქცინა ე. ი. ასაცრელი მასალა შეიცავს ამ სამივე დაავადების წინააღმდეგ იმუნიტეტის გამომუშავებისათვის საჭირო შემადგენელ ნაწილებს; როგორც დეფთერია, ისე ტეტანუსი უაღრესად მძიმე და საშიში დაავადებაა, რომელიც გვხვდება როგორც ახალშობილებში, ასევე უფროსი ასაკის ბავშვებში და მოზრდილებში. ტეტანუსის გამომწვევი ჩხირი ორგანიზმში შეიძლება შეიჭრას ჭიპლარიდან ან დაზიანებული კანიდან.

ასევე, ბავშვთა ასაკში მძიმე გადამდებ დაავადებას ეკუთვნის ყივანახველა, რომლითაც ბავშვი შეიძლება ავად გახდეს ჩვილი ასაკიდანვე. დაავადება ყოველთვის მძიმედ და ხანგრძლივად მიმდინარეობს, ამიტომ ყველა დედამ უნდა იცოდეს, რომ ყივანახველიანი ბავშვი მეტად საშიშია სხვა ბავშვებისათვის.

ამრიგად, როგორც უკვე ზემოთ მოგახსენეთ, დეფთერიის, ყივანახველის და ტეტანუსის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური აცრა ბავშვებს უტარდებათ 3 თვის ასაკში; პირველი აცრა ტარდება სამჯერადად 1,5 თვის ინტერვალით, რევაქცინაცია კეთდება პირველადი ვაქცინაციის დამთავრების 1,5-2 წლის შემდეგ და 9-10 წლის ასაკში და ყოველ 10 წლის ინტერვალით მოზრდილებში.

ბავშვთა ასაკის მწვავე ინფექციურ დაავადებათა რიცხვს მიეკუთვნება წითელაც, რომელიც ხასიათდება ძლიერი კონტაგიოზურობით ე. ი. გადამდებიანობით და სწრაფი გავრცელებით. ჩვილი ასაკის ბავშვებისათვის საშიშია არა მარტო თვით დაავადება, არამედ მისი გართულებები — ფილტვების ანთება, ცრუ კრუპი, კუჭნაწლავის აშლილობა და სხვა.

არანაკლებ საშიშ დაავადებას წარმოადგენს ინფექციური პაროტიტი, ანუ ყბაყურა, რომლითაც ბავშვები უმეტესად ავად ხდებიან 5-15 წლის ასაკში, აღნიშნული დაავადება იძლევა რიგ გართულებებს, ბიჭებში ორხიტს, ანუ სათესლე ჯირკვლების ანთებას, პანკრეატიტს, ანუ კუჭუკუნა ჯირკვლის ანთებას, იშვიათად მენინ-

გიტს — თავის ტვინის გარსის ანთებას. წითელას საწინააღმდეგო აცრა ტარდება 12 თვის ასაკში, ყბაყურის 15-18 თვის ასაკში. სად ტარდება აცრები?

ქალაქად ყველა აცრა უნდა ჩატარდეს მხოლოდ პოლიკლინიკაში, სადაც მოწყობილია სპეციალური ასაცრელი კაბინეტი. სოფლად — საექიმო უბნის ამბულატორიაში. ბავშვები, რომლებიც დადიან ბაგებში, ბაღებში და სკოლაში, უნდა აიცრან აღნიშნულ დაწესებულებებში, ბინაზე ბავშვის აცრა სასტიკად აკრძალულია. პროფილაქტიკური აცრების ჩატარების დღის შესახებ სკოლამდელ დაწესებულებებში და სკოლაში მოსიარულე ბავშვების მშობლები წინასწარ გაფრთხილებულნი უნდა იყვნენ. აცრებს დაქვემდებარებული ყველა ბავშვი წინასწარ შემოწმებული უნდა იქნეს ექიმის (საფერშლო, საბებიაო და საფერშლო პუნქტებში) ან ფერშლის მიერ. აცრის დღეს ბავშვს უნდა შეუმოწმდეს სხეულის ტემპერატურა.

ყოველი პროფილაქტიკური აცრის შემდეგ ბავშვი უნდა იმყოფებოდეს ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ. თუ დედამ აცრის შემდეგ ბავშვს შეამჩნია რაიმე გადახრა, მაშინვე უნდა აცნობოს ექიმს.

პატივცემულო მშობლებო! ყველა წესისა და ვადების დაცვით ჩატარებული პროფილაქტიკური აცრები დაიცავს თქვენს ბავშვებს მთელი რიგი ინფექციური დაავადებებისა და მათ მიერ გამოწვეულ გართულებებისაგან, დაავადებების შემთხვევაში კი უზრუნველყოფს მათს მსუბუქ მიმდინარეობას, ამიტომ ნუ დაარღვევთ აცრების კალენდარულ ვადებს. ამით თქვენ დროულად დაიცავთ თქვენი ბავშვის ჯანმრთელობას.

**ნ. უმიკაშვილი**

პედიატრიის ს/კ ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამკ. დარგში, რესპუბლიკის მთავარი პედიატრი.

# სახელოვანი სპორტსმენი



ნინო სალუქვაძე

ტირში ხალხი ირეოდა. ჩვეულებისამებრ ფუსფუსი, ემოციური შეძახილები ისმოდა. მამაკაცები სჭარბობდნენ, კანტი-კუნტად გამოჩნდებოდნენ ცნობისმოყვარე, გაბედული და თოფის სროლით გატაცებული ქალებიც. პატარა, ხუთი წლის გოგონა კუთხეში მიმჯდარიყო და გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს ყოველ ნასროლს, ხან იღიმებოდა, ხან იჭმუხნებოდა და დაფანტული გილზების შესაგროვებლად გარბოდა.

— როგორ ეტყობა, რომ გამოჩენილი მსროლელის ქალიშვილია, ასე დაინტერესებული გოგონა ჯერ არ მინახავს — გაოცებით უთხრა ვახტანგ სალუქვაძეს ერთ-ერთმა მეგობარმა, — აქ ჯდომა მაინც როგორ არ ბეზრდება.

— აბა, ბიჭი მაინც იყოს, დედამისი კი ჩამჩიჩინებს ავარჯიშეო, სროლა რა ქალის საქმეა.

— ავარჯიშე მერე, იქნებ შენსავით ჩემპიონი გამოვიდეს.

ასეთი სცენები ხშირად მეორდებოდა ვახტანგ სალუქვაძის და მისი პატარა გოგონას ყოველდღიურ ცხოვრებაში. ახლა უკვე ემაყება ერთადერთი ქალიშვილის დიდი, თვალსაჩინო წარმატებები.

მართალია, ნინო სალუქვაძე ჯერ მხოლოდ თვრამეტი წლისაა, მაგრამ მის ოსტატობაზე უკვე ხშირად წერენ პრესაში, ეს კი სწორედ მისი მამის და პირველი მწვრთნელის — ვახტანგ სალუქვაძის დამსახურებაა, რომელიც არის საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ტყვიის სროლაში, საერთაშორისო კლასის ოსტატი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, მრავალი სპარტაკიადის პრიზიორი, რომელიც ახლა საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს ამეცადინებს.

ნინო სალუქვაძე ერთი შეხედვით სულაც არა ჰგავს ამ, ცოტა არ იყოს, „მრისხანე და არაქალური" სახეობის სპორტსმენს. იგი მშვიდი, ბეჯითი, სიტყვაძუნწი გოგონაა. წარმატებით დაამთავრა თბილისის 140-ე საშუალო სკოლა. უყვარს ხატვა, ხელსაქმე და ისევ... თოჯინები.

1983 წელს ნინო სალუქვაძემ სამი საკავშირო შეჯიბრება მოიგო: ერთი წლის შემდეგ ბავშვთა საკავშირო სპარტაკიადაზე ოთხი მედალი დაიმსახურა. იგი ორგზის ევროპის ჩემპიონი გახლავთ, 1984 წელს მსოფლიო ჩემპიონატში მესამე სახის პრიზიორი გახდა, 1985 წელს — საბჭოთა კავშირის თასის მფლობელი, ორი წლის შემდეგ კი გერმანიაში, მსოფლიო შეჯიბრებაზე პირველი ადგილი და თასი დაისაკუთრა.

შარშან მისი გამარჯვება მართლაც რომ უნიკალური იყო, მან საკავშირო შეჯიბრებაზე ზედიზედ ოთხი ოქროს მედალი დაიმსახურა.

შრომისმოყვარე, მიზანსწრაფული, ძლიერი ნებისყოფით დაჯილდოვებული გოგონა თითქოს თვალსა და ხელს შუა იზრდება, როგორც სპორტსმენი. მას არასოდეს ღალატობს ზომიერების გრძნობა, გამოირჩევა მომთხოვნელობითა და ობიექტურობით, როგორც საკუთარი თავის, ასევე სხვების მიმართ. ამ თვისებების წყალობით იგი სწავლასაც წარმატებით უთავსებს მრავალრიცხოვან შეჯიბრებებს (ნინო ფიზკულტურის ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტია).

ბატონი ვახტანგი ახლა უკვე აღარ ამბობს სროლა რა ქალის საქმეაო და ფხიზლად ადევნებს თვალყურს, რომ მუდამ მსუბუქად ატაროს ნინომ „მონომახის ქუდი", ისე, როგორც სპორტსმენს და სალუქვაძეთა ტრადიციების ღირსეულ გამგრძელებელს ეკადრება.

ძველად ვაჟკაცის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშნად ამბობდნენ ხოლმე, მიმინოსავით მზერა აქვსო, ტყვიას ტყვიაში აჯენსო, ახლა ამ სიტყვებს ნინოს მისამართითაც ვიმეორებთ, რომელსაც მართლა მიმინოსავით მზერა აქვს და ტყვიას ტყვიაში აჯენს.

1987 წლის მაჩვენებლებით ნინო ოცი მედლის მფლობელი გახლავთ.

**ირინე მიქაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ქუჩური პაემნები

ერთხანს ვყოყმანობდი, ღირდა თუ არა პროსტიტუციის შესახებ ვრცელი წერილის დაწერა. პროსტიტუცია ლათინური სიტყვაა და ნიშნავს შერცხვენას, წაბილწვას, ქალის მიერ საკუთარი სხეულით ვაჭრობას, მეძავეობას. პროსტიტუცია ანტაგონისტურ-კლასობრივი საზოგადოების ორგანული დამახასიათებელი მოვლენაა და იგი ჩვენში ტიპობრივი არ არის, მაგრამ (ჰო, ეს მაგრამ!) გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ, ყოველთვის გვყოფნიდა კი ვაჟკაცობა, მოქალაქეობრივი გამბედაობა სიმართლის თქმისათვის გვენაცვლებინა საკუთარი კეთილდღეობა? ახლა კი, როცა უკან იხევს მანკიერება, სიბნელე, არაგულწრფელობა, როცა სიმართლე აღარ არის დიოგენის ფარნით საძებარი, გაბედულად უნდა შევებრძოლოთ ყოველგვარ სიმახინჯეს.

მე ობივატელს დავარქმევდი მას, ვინც ფიქრობს თითქოს უხერხულია ყველაფრის საჯაროდ გამოტანა, გახმაურება.

აქ, ალბათ დროულია გავიხსენოთ ვ. ი. ლენინის სიტყვები, როცა ბელადს ჰკითხეს: ხომ არ მოუტანს ზიანს ჩვენს საერთო საქმეს ყველაფრის სააშკარაოზე გამოტანა, ვ. ი. ლენინმა უპასუხა: საჯაროობა ის მახვილია, რომელიც თვითვე არჩენს თავის მიერ მიყენებულ ჭრილობასო.

პროსტიტუციამ, გარყვნილობამ, უზნეობამ, სამწუხაროდ, იმატა რესპუბლიკაში. მთელი ჩვენი საზოგადოება შეშფოთებულია ამ უხამსობით.

ალბათ მკითხველი ფიქრობს, გეყოფათ სულის აღმაშფოთებელი სიტყვების ხმარება, ფაქტებზე გველაპარაკეთო. კი ბატონო, თუმცა გვიჭირს ამ ქალბატონების გამომზეურება.

თბილისის საქარხნო რაიონის სახალხო სასამართლოში მხარეები ასე იყვნენ წარმოდგენილნი. განსასჯელი ახალგაზრდა, 30 წლის ქალი თინათინ თ-ლი, ორი მცირეწლოვანი შვილის დედა; ბრალდების მოწმეები ფრიდა დ-ნი, 1956 წელს დაბადებული, უმუშევარი, მეუღლეს გაშორებული, ისიც ორი მცირეწლოვანი შვილის დედა, ალა ტ-ვა, 30 წლისა, ქალაქ რუსთავში მცხოვრები, უმუშევარი, ირინე დ-ვი ჩერნოვიცის ოლქის ქალაქ სტოროჟენცის მცხოვრები. მათ მხარს უმშვენებდნენ ბრალდების მთავარი მოწმეები არკადი მ-ლი, დროებით უმუშევარი და მიხეილ ბ-ევი, პროფესიით მძღოლი.

მივყვეთ საბრალდებო დასკვნას: თინათინ თ-ლი მეგობრულ ურთიერთობაში იყო სხეულით მოვაჭრე ქალებთან ფრიდასთან და ალასთან. „საქონელს" ხომ გასაღება სჭირდება და, ვისაც ჯიბე უშრომლად ნაშოვნი ფულით ჰქონდა სავსე, სიყვარულსაც ის ყიდულობდა. ერთი სიტყვით, თინათინი ფულს დახარბებულ ქალებს იახლოვებდა, ამორძალთა მაჭანკლობას ეწეოდა ანგარების მიზნით, ზნედაცემულ ქალებს ახვედრებდა მამაკაცებთან. ეს უკანასკნელნი კი წუთიერ „სიყვარულს" ფულით ყიდულობდნენ.

— ფრიდა, კარგი კლიენტები გიშოვნეთ შენ და ალას, მანქანაც აქვთ. ქალაქგარეთ გაისეირნებთ, კარგი პურმარილიც იქნება, ოღონდ, შენ რომ იცი, არაყს ნუ მიეძალები... დანარჩენს თვითონ მიხვდები...

— რამდენს იძლევიან? — ვერ მოითმინა ფრიდამ.

— ვითომ არ იცი ტაქსა! 80 მანეთს მიიღებთ. აქედან 20 მანეთი სამაჭანკლო ჩემია, 60 მანეთს შენ და ალა თანაბრად გაიყოფთ. მეტი რა გინდა, სიყვარულსაც მიიღებთ, პურმარილსაც და 30-30 მანეთიც დაგრჩებათ.

— ეგებ ცოტა მოამატებინო — შეევაჭრა ალა.

— ახლა ეს იკმარეთ. კლიენტურა, იცოცხლე იმდენია... თინათინმა ორივე ხელის თითები აათამაშა.

გარიგება შედგა. შარშან, 16 სექტემბერს თინათინს ბინაში ეწვივნენ არკადი და მიხეილი.

— აბა, ჩამოდით 80 მანეთს! ისეთი გოგოები მყავს, აი ასეთი! — თინათინმა სალოკი თითი მაღლა ასწია.

— სიტყვას საქმე სჯობს. აბა, ერთი გვაჩვენე. — „საქონლის" ნახვა მოინდომა არკადიმ. „გიცნობ" რა ქალიც ხარ, ხანდახან ისეთ მაიმახებს შემოგვაპარებ, კაცი ზედაც არ შეხედავს, — გაიფიქრა არკადიმ და დიასახლისს მეორე ოთახში გაჰყვა.

ოთახში, სადაც დიასახლისი და სტუმარი გავიდნენ, ოდნავ ბნელოდა, სამაგიეროდ, იაფფასიანი ოდეკოლონისა და იადო-მორფის სუნი იდგა.

არკადიმ მუშტრის თვალით, მსუნაგად შეათვალიერა ჭრელა-ჭრულად გამოწყობილი ქალები, თვალი ჩაუკრა და მათი „მშვენიერებით" კმაყოფილმა მხიარულად დაუსტვინა, ფრიდას ლოყაზე ხელიც მოუთათუნა, რაც იმის ნიშანი იყო, რომ მისი „სიყვარული" იყიდა და ქალებს მიმართა:

— გვრიტებო, მოემზადეთ, დაბლა მანქანა გველოდება, მანქანაში ერთი ამხანაგია, პურმარილიც გვაქვს. ქალაქგარეთ ტყეში, ერთი კარგი მოჩუმათებული ადგილი ვიცი. მე აგერ ჩვენს დიასახლისთან ანგარიშს გავასწორებ...

არკადიმ 80 მანეთი თინათინს ჩაუთვალა, ამ უკანასკნელმა ფული გადათვალა. 20 მანეთი თავისთვის გადადო, 30-30 მანეთი ფრიდას და ალას მისცა.

ფრიდა მანქანის მძღოლს, არკადის მიუჯდა, ალამ მიხეილის გვერდით დაიკავა ადგილი.

— აბა, ლამაზებო, წავიდეთ. აგერ გარდაბნის რაიონში სოფელ ახალსოფელთან ტყეში ერთი დაბურული ადგილი ვიცი, კაციშვილი არ ჭაჭანებს, ჯიგრულად გავატარებთ დროს.

— მიდი, ძია კაცო, გარეკე, მოწყენა რას მიქვიან, — ითაკილა ფრიდამ და ალას თვალი ჩაუკრა.

ჩვენ აქ აღარ აღვწერთ იმ შემაზრზენ აღვირახსნილობისა და უზნეობის ეპიზოდებს, რაც მილიციის მუშაკებმა იხილეს, როცა თავზე წაადგნენ გარდაბნის რაიონის ახალსოფლის ახლომდებარე ტყეში, ბუჩქებში თხუნელებივით შემძვრალ წყვილებს...

თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლომ ნატალია ამბოკაძის თავმჯდომარეობით განიხილა თინათინ თ-ის სისხლის სამართლის საქმე. განაჩენით მას, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 230-ე მუხლით — ბრალად დაედო ქალების გარყვნილებისათვის ანგარების მიზნით მიზიდვა, მაჭანკლობა, რისთვისაც მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა გადაუსახლებლად, მაგრამ სასამართლომ გაითვალისწინა, რომ განსასჯელმა გულწრფელად აღიარა დანაშაული, დაგმო თავისი საქციელი, არის მარტოხელა დედა, ჰყავს ორი მცირეწლოვანი ბავშვი, მოხუცებული დედა, და შესაძლებლად სცნო მისთვის 2 წლით განევადებინა სასჯელის მოხდა.

სასამართლოს სამსჯავრო სხდომაზე ისიც გაირკვა, რომ ფრიდას ბინაზე ჩაუწერავად ცხოვრობდა ირინე დ-ი, რომელიც 1960 წელს არის დაბადებული. იგი ჩაწერილია და ცხოვრობს ჩერნოვიცის ოლქის ქალაქ სტროჟენციში, საქმეშია ცნობა, რომ ირინე მკურნალობის კურსს გადის დერმატო-ვენეროლოგიურ კლინიკურ დისპანსერში. მკითხველი ისეც მიხვდება, თუ რამ ჩამოაბრძანა ჩერნოვიციდან ჩვენს დედაქალაქში. იმის გამო, რომ ფრიდას ბინაში ჩაუწერავად ცხოვრობდა ირინე დ-ი, სასამართლომ გამოიტანა კერძო განჩინება და იგი გადაუგზავნა თბილისის საქარხნო რაიონის აღმასკომის საბინაო საექსპლოატაციო № 97 ტრესტის ხელმძღვანელობას რეაგირებისათვის.

გავიცნოთ მეორე მაჭანკალიც, ქალაქ რუსთავში მცხოვრები ლუდმილა მ-ლი. იგი 1956 წელს არის დაბადებული, 12 წლის ვაჟიშვილი ჰყავს, არსად არ მუშაობს, მაგრამ ეს ხელს არ უშლის თავის გემოზე ხელგაშლილად იცხოვროს.

ლუდმილა მუდამ ახალგაზრდა, ლამაზ, თავისუფალი ყოფაქცევის გოგონებს იახლოვებდა. კლიენტურაც შერჩეული ჰყავდა და ტაქსა — 50 მანეთიც დაწესებული. ლუდმი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლას მორიგი ნაცნობები გახდნენ 18 წლის მ. კ-ვა და 27 წლის კუიბიშეველი „გასტროლიორი" მეძავი მ. ტ-ვა.

— წრფელი სიყვარული? მოგცლიათ ერთი! არ დაივიწყოთ: ღვინო ძველი სჯობს, ქალი კი ახალგაზრდა. ჰოდა, სანამ ახალგაზრდები ხართ, დრო გაატარეთ, თან ფულსაც იშოვნით. აგერ, მე თუ უმაღლესი დავამთავრე და დიპლომი მაქვს, რა თავში ვიხლი! რა სჯობს საყვარლების გამოცვლასა და სიამოვნებას. ჰოდა, აბა, თქვენ იცით, კაცებს თავბრუ დაახვიეთ. ამით თქვენც იხეირებთ და მეც. ასე მოძღვრავდა იგი გარყვნილების ქსელში გახლართულ ახალგაზრდა ქალებს.

ნათქვამია: გემრიელ საჭმელს თან ახლავს კბილისა მოსაკვეთელიო. სწორედ ასე დაემართა განათლებულ მაჭანკალს ლუდმილა მ-ლს. რუსთავის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების მუშაკები მის ბინას ღამით იმ დროს მიადგნენ, როცა მასპინძელი და მისი „ლამაზმანები" კლიენტების მისაღებად სუფრას აწყობდნენ.

როგორც გამოძიებამ დაადგინა, ბუნაგის დიასახლისმა კარგი სარგებელი ნახა ჩამოსული გოგონებისაგან. მ.კ-ვა რუსეთის ერთ-ერთი შორეული ქალაქიდან ესტუმრა ლუდმილას, სხეულის გასაყიდად და „ფულის გასაკეთებლად". ხუთი თვე ჩაუწერავად ცხოვრობდა რუსთავში. წინათ კი გასამართლებული ყოფილა და სასჯელიც მოუხდია ქურდობისათვის.

მაგრამ ახლა ნამდვილად გამიჭირდა წერა, ძვირფასო მკითხველო, რადგან ის, რაც უნდა მოგითხროთ, ყოველგვარ ალვირახსნილობასა და ზნეობრივ დაქვეითებას სცილდება. საქმე ეხება ადამიანს, რომელმაც ცხოვრების დიდი გზა გაიარა, 70 წელს გადასცილდა და სიბერის ჟამს ვნებამ დარია ხელი. ურიგო არ იქნება ამ შემთხვევისათვის ვოლტერის სიტყვები გავიხსენოთ: „რა დამღუპველია ვნებები! ისინი ქარებს ჰგვანან, რომლებიც ხომალდის იალქნებს უბერავენ, ზოგჯერ სძირავენ კიდეც ეს ქარები ამ ხომალდს". და აი, ბატონი ნოეც „ჩაიძირა" იმ გაგებით, რომ მისმა ვნებებმა იგი სააშკარაოზე, საქვეყნოდ გამოაჭენა.

სიბერის ჟამს, ვნებამორეულმა ნოე ხ-ძემ თავისი საგუნებო ახალგაზრდა ქალი, 22 წლის ზოია ძ-ლი გაიცნო (როგორც შემდეგ გაირკვა ზოიამ თვითონ მოძებნა ნოე). წარმოიდგინეთ, 70 წელს გადაცილებული დონჟუანი, რომელმაც ახალგაზრდა ქალის მუშტრულ ვნებებს თავისი უკვე დამცხრალი, გაცვეთილი ვნებები შეაგება. ქალი ფულს იყო დახარბებული და ამიტომ ბერიკაცს საკმაოდ დიდი თანხა სჭირდებოდა.

„ძია კაცი „სიყვარულისაგან" სულ გამოშტერდა, მაგრამ არც ისე, რომ ფული ბლომად გადაშიხადოს. ისე კი ეტყობა დიდი ფულის პატრონია. რაღაც უნდა მოვიფიქრო, რომ მეტი გამოვძალო", — გადაწყვიტა ერთხელ ზოიამ. და აი, რა მოიფიქრა: დაუკავშირდა თავის მეგობარს, უსაქმურ ამირან მ-ძეს და მათ ფულის გამოძალვის თავისებური გეგმა შეადგინეს.

ერთ დღეს, როდესაც ბატონ ნოეს ვნება კვლავ მოეძალა, ზოია იხმო, თავდაპირველად პურმარილს შემოუსხდნენ. ზოია იმ დღეს გასაოცრად ვნებამორეული ექცეოდა თავის მიჯნურს, არაყსა და შამპანურს სვამდა და ნოესაც აძალებდა, როდესაც ორგიამ კულმინაციურ წერტილს მიაღწია და ვნებამ იძალა, ოთახის ნიშში, წინასწარ ჩასაფრებულმა ამირანმა ფოტოაპარატი მოიმარჯვა და ჭარმაგი მიჯნურის კაცობის დამადასტურებელი ყველაზე „შთამბეჭდავი" მომენტები ფირზე აღბეჭდა. როდესაც პორნოგრაფიული სურათები დაამზადა, ამირანი სამსახურში ეწვია ნოეს და ფოტოები წინ დაულაგა.

შეცბუნებულმა კაცმა თავის შერცხვენას ფულის გადახდა ამჯობინა, მაგრამ თაღლითს მადა სულ უფრო და უფრო ემატებოდა, როდესაც ის მესამედ ეწვია ნოეს, 5.000 მანეთი მოსთხოვა, თან დაემუქრა, თუ არ გადაიხდი, სურათებს გავამრავლებ და ნათესავებსა და თანამშრომლებში დავარიგებო.

მაშინ კი იკადრა ნოემ დაეთრგუნა თავისი ვნებები და, სადაც ჯერ არს, იქ განაცხადა...

როგორც ხედავთ, ამორალიზმის შავი აჩრდილი ჯერ კიდევ არ თმობს თავის პოზიციებს. ჩვენს დედაქალაქში, ბოგდან ხმელნიცკის ქუჩაზე, საქარხნო და საბურთალოს რაიონებში, ასევე ქალაქ რუსთავში აღმოაჩინეს სამეძაო ბუნაგები. მეძავებსა და ბუნაგების მუდმივ სტუმრებს შორის ვენერიული სენით დაავადებულნიც აღმოჩნდნენ. ამასწინათ, როგორც ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი გაზეთი იტყობინებოდა, ბათუმში, სასტუმრო „მედეაში" ჩაუწერავად ცხოვრობდა მოსკოვიდან, კრასნოდარიდან, ვორონეჟიდან ჩამოსული სამი არასრულწლოვანი, რომლებიც თავიანთი სხეულით ვაჭრობდნენ. იმ დღეს რამდენიმე საათში, ბათუმში რეიდის მონაწილეებმა ორმოცდაცხრა მეძავი გამოავლინეს. მათი უმრავლესობა არსად არ მუშაობდა. იმათგან რვა მძიმე ფორმის ვენერიული სენით იყო დაავადებული, იყვნენ ნარკომანებიც, რომლებსაც ნარკოტიკული ნივთიერებები — მორფი და ჰაშიში უნახეს.

განგაშის, რისხვის ზარები უნდა შემოვკრათ. 1986 წლიდან რესპუბლიკაში ვენერიული სენით დაავადება მატულობს, მძიმე ფორმის ვენერიული სენით დაავადებულთა რიცხვი 30 პროცენტით გაიზარდა.

„თუ სიმართლე მიჩქმალე, თუ არ წამოდექი და არ გამოხვედი კრებაზე, ან თუ გამოხვედი, მაგრამ სრული სიმართლე არ თქვი, მაშასადამე სიმართლეს ღალატობ". — ხშირად უყვარდა ამ სიტყვების გამეორება ცნობილ მწერალს ჯეკ ლონდონს. და, სიმართლის თქმა ხომ მხოლოდ სულ ახლახანს გახდა შესაძლებელი. დღეს მოქალაქეობრივი გამბედაობის დროა. ზნეობრივ მანკიერებას, პროსტიტუციას კანონთან ერთად მთელი საზოგადოება უნდა ებრძოდეს. აი ეს არის დღეს ერთ-ერთი მთავარი სოციალური პრობლემა.

ზაალ მესენგისერი,
საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს უფროსი კონსულტანტი.

# მკითხველთა შემოქმედება

## თავმომწონედ მივაბიჯებ

ამ მზეს ნათელ თვალით ვუმზერ,
სპეტაკ გულით ვხვდები სწორებს
მამაპაპის ნაფეხურზე
მივაბიჯებ თავმომწონედ...

რომ მეტყვიან: ვინა ხარო,
მაშინ წუთით ჩავფიქრდები.
ჩემი მზით და მთებით ვხარობ,
სურნელებას მაფრქვევს მთები...

ფოთოლი ვარ მე იმ მუხის,
გამოზრდილი მზის ღიმილში.
ეხვეოდა მუხას მუმლი,
ვერ შემუსრეს ძალა მისი.

ქართლის იმ ძველ დედებს ვეძებ,
იმათ აჩრდილს გარედ ვიწვევ.
იმათ წმინდა ნაკვალევზე
თავმომწონედ მივაბიჯებ...

მარო ვაშაკიძე

## პირველი ვერცხლი

პირველი ვერცხლი, ჩემო თოლიავ,
შენ შემამჩნიე, თითქოს მახარე:
— უი ძვირფასო, დაუთოვია? —
გაიკვირვე და თავი დახარე...

მოულოდნელად დათოვა მთები,
გულს ჭინჭარივით სუსხავს ფანტელი,
ნამქერმა თეთრად დაფარა გზები,
სულში აშლილი კორიანტელით...

პირველი თოვლი, ჩემო თოლიავ,
შენ დამანახვე, შენვე მახარე,
მე მოწყალება არ მითხოვია,
ჩემი სიბერეც შენ შემაყვარე...

## ჩემი პატარა სახლი ძველ თბილისში

სულ არ შეცვლილა აქ არაფერი,
აქ ისევ ისე დგანან ვერხვები,
ვით დიდი მხატვრის ფუნჯით ნაფერნი,
მე მათ შევხარი, მე მათ ვეხვევი...

იქვე პატარა ძველი სახლია,
აივნიანი, ზღაპრის სადარი,
თავზე ჩუქურთმად შემოსალტვია,
ძველი ხელოსნის ნაოსტატარი...

ეტრატებს გვანან მწყობრად მიჯრილი,
კალატოზისგან შენაკეთები,
ხელნაწერივით ფერგადასული,
წვრილი აგურის სველი კედლები...

ჩემი ბავშვობის დიდ მოგონებად,
დგას, როგორც ძეგლი ტკბილი ოცნების,
მოკრძალებული ვუცქერ შორიდან,
როგორც დიდებულ ტაძარს მლოცველი...

თამარ აბულაძე

# იუმორი



30 წლისა ვარ და მხოლოდ 49 კგ და 850 გრამს ვიწონი. ეს ჩემი სტაბილური წონაა. გიკვირთ? აი როგორ ვახერხებ ამ წონის შენარჩუნებას.

დილით ადრე მაღვიძარას ხმაზე დაფეთებული წამოვვარდები და გავრბივარ სააბაზანოში. ხელ-პირს ვიბან, თავსაფარს წავიკრავ და ვეცემი საუზმეს. საჭმელად? არა საჭმელად მცალია, ვიწყებ საუზმის მომზადებას.

ილვიძებენ ბავშვები და მეუღლე, სამივეს თავიანთი გემოვნების მიხედვით მივართმევ საუზმეს, მე პირში რაღაც ლუკმას ვიდებ და ვიწყებ ბავშვების ჩანთების შემოწმებას და მეუღლის პორთველში „საქმეების" ჩალაგებას. ზუსტად 8 საათსა და 30 წუთზე ვისტუმრებ ქმარ-შვილს სახლიდან, გადავყლაპავ ერთ ჭიქა ცივ, უშაქრო ჩაის და ფაციფუცით გავრბივარ სამსახურში.

18 საათზე შესვენება გვაქვს. ყველა სასადილოსაკენ მიიჩქარის. მე — ბაზარში, პროდუქტების შესაძენად. ქმარ-შვილს სადილი ხომ უნდა მოვუმზადო?! ზუსტად 14 საათზე და 2 წუთზე პროდუქტებით დატვირთული ჩანთით, გალვართქული და ლოყებშეფაკლული ვბრუნდები სამსახურში, ვჯდები სამუშაო მაგიდასთან, ჩანთის თავში დადებულ კომბოსტოს ვაცლი ერთ ფოთოლს და ჩუმად ვაცმაცუნებ. კომბოსტოს ერთი ფოთოლი, დამეთანხმებით, არ გამასუქებს. ზუსტად ოთხ საათზე მთავრდება ჩემი სამუშაო დღე და გავრბივარ სახლში. სტარტი პირდაპირ სამზარეულოსაკენ მაქვს აღებული. ორ საათში ჩემი ქმარ-შვილი სამზარეულოს მაგიდას შემოუსხდება, თუმცა რა მანერვიულებს, მე ხომ მაინც ყოველთვის ყველაფერს ვასწრებ. მე მათი სადილობის პერიოდში ოთახებს ვალაგებ. დაღლილმა ქმარ-შვილმა ხომ სუფთა ოთახებში უნდა დაისვენოს. მათი დასვენების დროს კი სამზარეულოს ვალაგებ, თან ცოტას, ძალიან ცოტა რამეს ფეხად წავცუცქნი და შევუდგები ვახშმის სამზადისს. შემდეგ ბავშვებს ვამეცადინებ და ბოლოს, როდესაც ისინი ტელევიზორს მიუსხდებიან, ვრეცხავ სარეცხს. ჰო, დამავიწყდა, ტელევიზორთან მიმაქვს მათთვის ჩაი, მაწონი, ნამცხვარი (ქმრისთვის სიგარა, საფერფლე, ყავა), სავარძელში ჩამჯდარ მეუღლეს მოსასხამს შევთავაზებ, ვინიცობა ჩაეძინოს და არ შესცივდეს. მთელი დღის ნამუშევარი, დაღლილი კაცი ჩაიძინებს აბა, რა! ყოველივე ამის შემდეგ გული საგულეს მაქვს. შემიძლია შევიდე სააბაზანოში და შხაპი გადავივლო, მაგრამ თითქოს თავბრუ მეხვევა. ფეხქვეშ იატაკი ირყევა, რა ხდება? მგონი მშია, მაგრამ რა დროს ჭამაა, ლამე აღარ დამეძინება და დილით ხომ ადრე ვარ ასადგომი; ვიღებ კოლოფიდან ერთ ცალ ორცხობილას, მერე ისევ ვაბრუნებ უკან და მივდივარ დასაძინებლად. დილას... თავიდან ხომ არ მოგიყვებით. ისევ ისე მეორდება ყველაფერი და ჩემს წონას გრამი არ ემატება. მოგწონთ, ქალებო? მომბაძეთ, დიეტას ბევრი დრო და ფიქრი სჭირდება.

რად გინდათ დიეტობანა!

ლეილა ბოგოლაძე

გარეკანის პირველ და მეოთხე გვერდებზე საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის ომარ კაჭკაჭიშვილის „ჩემი თბილისი"


მთავარი რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი
Главный редактор МАРИКА БАРАТАШВИЛИ

სარედაქციო კოლეგია: ნ. გურგენიძე, ლ. კაკაბაძე (პ. მგ. მდივანი) ნ. გაფრინდაშვილი, ზ. კვაჭაძე, ნ. კილასონია, თ. ლაშქარაშვილი, ქ. ლომთათიძე, ნ. ჟვანია, პ. ჟღენტი, ც. ტერელაძე (მხატ. რედაქტორი), ნ. შალუტაშვილი, ლ. შეწირული, ნ. ჯავახიშვილი.

ტექრედაქტორი ნ. ბუკია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა
Издательство ЦК КП Грузии

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Адрес редакции: 380096, Тбилиси, Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№ რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68, განყოფილებების: მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის — 93-25-64, ლიტერატურისა და ხელოვნების — 93-98-53, კულტურისა და ყოფაცხოვრების — 93-98-50, მშრომელთა წერილებისა და მასობრივი მუშაობის — 99-50-39, მხატვრული რედაქტორის — 93-98-57. ტექნიკური რედაქტორის — 93-98-58. საერთო განყოფილების — 93-98-54. მასალები გადაეცა ასაწყობად 5. 01. 88 წ. ჟურნალი ხელმოწერილია დასაბეჭდად 15. 02. 88 წ. ქაღალდის ზომა 60×1/3, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,8. ტირაჟი 167.000. შეკვ 6, უე 09225 Условных печатных листов 3, учетно-издательских листов 58.



თბილისის № 1 ტრიკოტაჟის ფაბრიკის საგამომჭრელო-სამკერვალო საამქროს „განსაკუთრებული მოდური“ უბნის ხელმძღვანელი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მარინე ცისკარიშვილი.

დ. იაკობაშვილის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ 86/53

ინდექსი 76178

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფასი 80 კაპ.